1918 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტი.

სტენოგრაფიული ანგარიში.

56 სხდომა.

სამშაბათი, ნოემბრის 5, 1918 წ. ტფილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობს პარლამენტის თავმჯდომარე **ნ. ხ. ჩხეიძე.**

მდივნობს პარლამენტის მდივნის ამხანაგი **იოსებ აბაკელია.**

პრეზიდიუმში არიან: პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **იესე ბარათა შვილი** და **მდივანი დავით ილიაშვილი.**

კრება იწყება შუადღის თოთხმეტ საათზე.

თავმჯდომარე. კრება გახსნილი გახლავთ. (მდივანს) გთხოვთ წაიკითხოთ დღიური წესრიგი.

განცხადებანი სოციალ- რევოლ. ფრაქციისა და პარლამენტის წევრის კარაევისა.

მდივანი (კითხულობს) ალი გეიდარ კარაევის განცხადებას პარლამენტის **წევრობიდან** გადადგომის შესახებ და სოც. რევ ფრაქციის განცხადებას, რომ პარლამენტში **წევრებად** დანიშნენ კანდიდატთა სიიდან **მიხელ ჭანიშვილი** და **ივანე ბახტაძე,** ნაცვლად **ბარბაქაძისა** და **ფაჩუაშვილისა.**

დღიური წესრიგი.

1. **საბოლოო ტექსტი** შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრების კანონისა.

მომხსენებელია პარლამენტის **წევრი რაჟდენ არსენიძე.**

2. **საბოლოო ტექსტი** გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატების ტ ხარჯთ-აღრიცხვის კანონისა.

მომხსენებელია პარლამენტის **წევრი შალვა ამირეჯიბი.**

3. **კანონ-პროექტი** სახელმწიფო ქალაღდების მბეჭდავ ექსპედიციის ხარჯთ-აღრიცხვისა.

მომხსენებელია პარლამენტის **წევრი დავით ილიაშვილი.**

4. **კანონ-პროექტი** აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ სტატისტიკის შედგენისა.

მომხსენებელია პარლამენტის **წევრი დავით ილიაშვილი.**

5. **კანონ-პროექტი** სახელმწიფო ხაზინის მოწყობისა.

მომხსენებელია **პარლამენტის** წევრი **იასონ ლორთქიფანიძე.**

6. **კანონ-პროექტი** სათამაშო ქალაღდზე სახელმწიფო **მონოპოლიის** **წესების** შესახებ.

მომხსენებელია **პარლამენტის** **წევრი ალექსანდრე ასათიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონ-პროექტი გასართობებზე შესავალ ბილეთებზე გადასახადის **ხაზინის** შემოსავლად ჩარიცხვის შესახებ.

მომხსენებელია **ალექსანდრე ასათიანი.**

8. **კანონ-პროექტი** 1918 წ. ნოემბრის 22 კანონის (გასართობების შემოსაველ სამხედრო გადასახადის შესახებ) შეცვლისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **რაჟდენ არსენიძე.**

9. **კანონ-პროექტი** საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებისა ყველა ტიპის და საფეხურის სახელმწიფო და კერძო სკოლებში.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **ლეო ნათაძე.**

10. **კანონ-პროექტი** სხვა და სხვა უწესების სკოლების განათლების სამინისტროს უწყებაში გადასვლის შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **ნიკ ცინცაძე.**

11. **შეკითხვა** დამოუკიდებელ ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციისა მთავრობისა და სახელმწიფო კანტროლიორისადმი 30 მილიონის საღიკვიდაციო ფონდის შესახებ.

12. **შეკითხვა** პარლამენტის წევრის ალ. **ახმეტელისა** მთავრობისადმი ტფილისში უცხო სახელმწიფოს შეიარაღებულ რაზმის არსებობის შესახებ.

13. **შეკითხვა** პარლამენტის წევრთა ნ. თარხანოვის და ლეონ თუმანოვისა იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრებისადმი—სასამართლოს განუსჯელად პოლიტიკურ პატიმართა ბუდე მდივანისა და სხვათა სატუსაღოში უბრალმდებლოდ დაპატიმრების შესახებ.

14. **შეკითხვა** პარლამენტის წევრის დ. დავითხანოვისა შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრებისადმი—საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საიდუმლოების გამოქვეყნების საწინააღმდეგო ზომების შესახებ.

მსჯელობა წესრიგის შესახებ.

თავმჯდომარე. წესრიგის შესახებ სიტყვა ეკუთვნის განათ. მინისტრს.

განათლების მინისტრი **გიორგი ლასხიშვილი.** დღიურ წესრიგში აღნიშნული არის საღვთო სჯულის მოსპობა, როგორც საეკლესიოულო საგნისა. ეს კანონ-პროექტი არის შემუშავებული და წარმოდგენილი სასკოლო კომისიის მიერ. მთავრობაში ეს კანონ-პროექტი გამოგზავნილი ჰქონდათ, მაგრამ მთავრობას იგი არ განუხილავს.

მართალია, მთავრობას არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს რა ამ **კანონ-**პროექტისა, იგი პრინციპიალურად მას ეთანხმება, როგორც არა ერთხელ ყოფილა ამაზედ ლაპარაკი, მაგრამ, რადგანაც ჯერ მას არ განუხილავს თვით კანონ-პროექტი, მე ვთხოულობ, რომ ეს კანონ-პროექტი მოხსნილ იქმნას, და თუ შეიძლება, იქმნას გადადებული.

შეიძლება პარასკევისთვის მთავრობამ წარმოადგინოს თავისი აზრი.

თავმჯდომარე. გნებავთ ვისმეს, რომ განვიხილოთ ეს საკითხი, თუ თანახმა ბრძანდებით, რომ გადაიდოს იგი? მაშასადამე ეს წინადადება მიღებული გახლავთ. წესრიგის შესახებ სიტყვა ეკუთვნის ბ. ახმეტელს.

ალექსანდრე ახმეტელი (რად. დემ.) მე განზრახვა მქონდა ჩემ მიერ შემოტანილი შეკითხვის განხილვის დროს შევხებოდი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენსა და სომხების შორის მომხდარ კონფლიქტსა.

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ მთავრობა თავის პასუხში საჯაროდ **განა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადებდა, რომ იგი მზად არის, როგორც ომისთვის, ისე მშვიდობიანი გზით ამ კონფლიქტის გათავებისთვის.

ეს კიდეც ასე მოხდა.

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ის განაცხადებდა, რომ ტფილისის გუბერნიაში არც ერთი ადგილი მას სადავო არ ჰგონია.

ეს მან განაცხადა კიდეც.

მე ვფიქრობდი, რომ საქართველოს პარლამენტი სწორედ, აი, ამ მომენტის დროს, როდესაც მთავრობას უსდგია საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა, უსათუოდ დააჯილდოვებდა თავის მთავრობას ერთხმითი ნდობით.

ეს ასეც მოხდა.

სწორო იყო, რომ ერთხელ კიდევ დაენახვებინა ჩვენ პარლამენტს საქართველოს რესპუბლიკის მოპირდაპირეებისთვის, რომ, როდესაც დამოუკიდებლობის საკითხი არის, არ არსებობს არც ერთი პარტია, არამედ არსებობს მხოლოდ ერთი მთლიანი, თავისუფლების მოყვარე საქართველოს მთავრობა.

ეს ჩვენ უკვე დავინახეთ.

საჭირო იყო, რომ მთავრობას და პარლამენტს ეთქვა ყველასათვის, რომ რაინდულად გამოწვედილ ვერმანების ხალხის მიერ ხელს, ქართველი ხალხი არასოდეს არ უღალატებს, არასოდეს არ შეუქცევს ზურგს.

ყველაფერი ეს დავინახეთ.

აი ყველა ამ მოსაზრების გამო, სწორედ ამის შემდეგ მე ვხსნი ჩემ მიერ შემოტანილ შეკითხვას.

თავმჯდომარე. ამ რიგად, ეს შემოტანილი შეკითხვა მოხსნილი გახლავთ. ეხლა გადავდივართ შემდეგ საკითხზე.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი ბ. არსენიძე.

საბოლოო ტექსტი შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრების კანონისა.

რაფდენ არსენიძე. (ს.-დ.) თვით კანონ-პროექტში სარედაქციო შესწორებები არ არის. მხოლოდ რამდენიმე წინააღმდეგობა აღმოჩნდა. მე ამაზე უნდა მივაქციო პარლამენტის ყურადღება. ყოველ შემთხვევაში წაიკითხოთ მუხლობრივ. „კანონი საქართველოს შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრებისა“.

ჩვენ „სანაპირო“ ამოვშალეთ იმიტომ, რომ თითონ სახელწოდება სისწორით არ არის აღნიშნული. ჩვენ გვაქვს რკინის გზა, რომელიც გაიყვანა კერძო საზოგადოებამ, შავი ზღვის ნაპირზე. ამას უკვე შავი ზღვის რკინის გზა ეწოდება. ჩვენც ეს სახელი ვიხმარეთ, რომ ერთი სახელი შერჩეს.

მუხლი პირველი: კანონ-პროექტი შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრებისა. 1. დაეკალოს გზათა მინისტრს დაუყონებლივ მიიღოს თავის გამგებლობისა და განკარგულებაში შავი ზღვის სანაპირო რკინის გზა, რომელიც ჯერ დამთავრებული არ არის, საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში.

აქ არაფერი არ არის შეცვლილი გარდა იმისა, რომ სიტყვა „სანაპირო“ არის ამოშლილი.

მუხლი მეორე: რკინის გზის ამ ნაწილის მისაღებად, შესანახად და დასაცავად 1918 წლის 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე მიეცეს გზათა მინისტრს აეგანად ხაზინიდან სამასი ათასი (300,000) მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ არაფერია შეცვლილი.

მუხლი მესამე: მიენდოს გზათა მინისტრს დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ გზის ნაწილის დამთავრებას ახალ სენაკიდან ზუგდიდამდე და ამისათვის გაეხსნას მას კრედიტი სამი მილიონი სამას ათასი (3,300,000) მანეთისა, თანახმად ამ კანონთან დართული ხარჯ-აღრიცხვისა. თვის განმავლობაში მოახდინოს გამოკვლევა ტრასის შეცვლისა, რათა ხსენებულმა რკინის გზამ გაიაროს ქ. ზუგდიდში.

არავითარი სარედაქციო შესწორება არ არის, მხოლოდ აქ სარედაქციო კომისიამ შეიტანა გრამატიკული შესწორება. ეწერა (კითხულობს) გაეხსნას კრედიტი „3,300,000 მანეთისა", ჩვენ დავწერეთ: გაეხსნას კრედიტი „3,400,000 მანეთი".. მაგრამ ამ მუხლთან არის დაკავშირებული ერთი წინააღმდეგობა კანონ-პროექტისა. ჩვენ ხარჯთ-აღრიცხვაში ბუჰალტერულ გამოანგარიშებით გამოვიდა არა 300,000— არამედ 400,000 მანეთი. ამაშინ, როდესაც თვით კანონ-პროექტის მუხლში ეწერა, და ხარჯთ-აღრიცხვაში, რომელიც მივიღეთ,— ეწერა 300,000 მანეთი.

მაგრამ ტექსტში გამოვიანგარიშეთ, ბუჰალტერულ ანგარიშით გამოვიდა 400.000 მანეთი.

მე მგონია, რომ ამ მუხლშიც ესე უნდა ჩავწეროთ. ამ ხარჯთ-აღრიცხვიდან 300,000 მ. უნდა ამოვიღოთ. სარედაქციო კომისიას ჰგონია, რომ ეს კანონის მუხლი უნდა იყოს შეთანხმებული ხარჯთ-აღრიცხვასთან.

როგორც ხედავთ, ეს სარედაქციო შესწორება არ გახლავთ,—ეს არსებითი შესწორებაა, ამისათვის საჭიროა, რომ მომხსენებელმა თავისი აზრი გამოსთქვას. თუ თქვენ დღეს შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ არსებითი შესწორება მივიღოთ, ამ კანონის სარედაქციო შესწორების დროს, თუ პარლამენტი ამას ინებებს, ეს ჯიერბული იქნება.

მაგრამ, როდეს უხერხული საქმე მომხდარა. უნდა მივიღოთ სარედაქციო შესწორების მაგვარად არსებითი შესწორება. რაკი ეს ასე გახლავთ, საჭიროა, რომ მომხსენებელმა თავისი აზრი მოგვახსენოთ. ეს ერთგვარი დარღვევა იქნება ჩვენი წესიერებისა, მაგრამ რაკი ეს ამბავი მოხდარა, მომხსენებელმა უნდა თავისი აზრი გამოსთქვას.

თავმჯდომარე. პარლამენტის წევრი გობეჩია.

იოსებ გობეჩია. (ს.-რ.) ამ კანონის მომხსენებელი მე ვიყავი. ეს კანონ-პროექტი იყო გარჩეული სამ შერეთებულ კომისიის მიერ, საბიუჯეტო, იურიდიულ და გზათა კომისიის მიერ. რაც შეეხება ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშებს, —რასაკვირველია ის დამოკიდებული იყო საფინანსო და საბიუჯეტო კომიაზე. მათ უნდა შეემუშავებინა ეს, და რადგანაც ასეთი დაწვრილებითი შემუშავება მოახდინა სარედაქციო კომისიამ, ჩვენის აზრით საბოლოოდ უნდა მივიღოთ ის ციფრებით, რომელიც სარედაქციო კომისიამ შეიმუშავა.

თავმჯდომარე. ესე იგი, 3.400.000 მანეთი. საფინანსო კომისიის მომხსენებელი თანახმა არის ამ კანონ-პროექტის შესახებ.

მომხსენებელი არსენიძე. მე ეხოლოდ სარედაქციო კომისის ხასელით უნდა მოგახსენთ ის, რომ ჩვენ არც ერთი მუხლი არ შეგვისწორებია. იგივე მუხლი მივიღეთ ისე, როგორც ეწერა ხარჯთ აღრიცხვაში, მხოლოდ საერთო ანგარიშის იტოგი, ანუ ჯამი, გამოდგა სხვანაირი, ვინმე აქ იყო. პარლამენტის მიერ მიღებული აზრი არ შეგვიცვლია.

თავმჯდომარე. მაშასადამე, შეტანილი იქნება არსებითი ცვლილება.

მომხსენებელი. ცვლილება არ არის შემოტანილი ხარჯთ-აღრიცხვაში. ამ ხარჯთ-აღრიცხვას ეწერა რადაც სხვა სახელი, მგონია შეფასებითი სია. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერმინი ყოველად შეუძლებელი არის. ამ კანონის ხარჯთ-აღრიცხვისთვის. ჩვენ არ შეგვემლო დაგვეწერა **შეფასებითი** სია. ამის მაგივრად ჩვენ დავწერეთ **ხარჯთ-ხელრიცხვა ახალ-სენაკიდან ზუგდიდამდე დროებითი მიმოსვლის გასამართავად დასამთავრებელ სამუშაოსი შავი ზღვის რკინის გზაზე.**

სენაკის გზის ლიანდაგი სულ 48 ვერსი არის, ხარჯთ-აღრიცხვა დანაწილებულია მუხლებად. (კითხულობს) **ლიტერა ა.** ფასი სამუშაოსი და დამზადება მიწოდებისა. აქ უნდა აღინიშნოს უკანასკნელი ტერმინი: დამზადება მიწოდებისა,

ეს არის თარგმნა რუსულ სიტყვიდან—**поставка.** აქ **поставка** ეწოდება ისეთ იაკარით ალებას, როდესაც მოიჯარადრე ვალდებულია თავის მასალით, თავის საკუთარ მასალით გაამზადოს ესა თუ ეს ნივთი და მისცეს დაწესებულებას. ამას ვერ გადავთარგმნიო, სხვანაირად ჩვენ ვარჩიეთ **დამზადება-მიწოდება: поставка** არის დამზადება-მიწოდება. მე ორტყვი, რომელნადაც **შესაფერია** ეს სახელწოდება, საზოგადოდ—რომდე ადაა ეს სპეციალურად, იფიდიფულად შემუშავებული. თავი პირველი (კითხულობს) თავი I. ქონების ჩამორთმევა. მიწის შემენა, შენობის დანგრევა, სასყიდელი ადგილის დროებით დაჭერისა, ნათესისა და სათიბის მოსპობისა და სხვა ზარალისთვის, დამზადება და ჩაყრა საზღვრების ნიშნების და აგრეთვე შენახვა ჩამორთმევ ადმინისტრაციისა, დაქირავება მისთვის შენობისა კანტორისათვის, ფოსტა-ტელეგრაფის და კანცელარიის ხარჯითურთ. შედგენა პლანებისა, საგზაო, გადასვლისა და სხვ. საჭიროებისათვის. სულ I თავის ხარჯი 500,000 მან. აქ „საგზაო გადასვლისა და სხვ. ხარჯები" ეს არის **путевые** და **подъемные** ხარჯები.

არსებითად ეს ნიშნავს იმ ხარჯებს, რომელიც მოხელეს, ან დაქირავებულ პირს დასჭირდება, რომ თავისი ბინა, საქმე, ქონება დასტოვოს, გაყიდოს და ახალ ადგილზე დაბინავდეს. ძველ ადგილიდან ახალ ადგილზე გადასვლისთვის **გამოწვეული** ხარჯები აუნაზღაურო. ამ ფულს, რომელსაც ეწოდება **подъемные**—გადასვლის ხარჯი, სულ 500,00„ მან.

შენიშვნა: I თავისთვის. ვინაიდან გამოურკვეველია, რამდენად არის შესრულებული შავი ზღვის რკინის გზის მართველობისაგან ჩამორთმეული საქმე და აგრეთვე ვინაიდან საბუთები გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს საქმე მხოლოდ დაწყებულია, ხარჯთ-აღრიცხვაში. ჯამი 500,000 მან. ამ პირობით არის შეტანილი, რომ კრედიტის დახარჯვა ამ თავის მიხედვით მოხდეს გზათა მინისტრის საბჭოს ნებართვით. აქ ბევრი შენიშვნები იყო წარმოდგენილი, მაგრამ სარედაქციო კომისიამ დასტოვა მხოლოდ ის შენიშვნები, რომელთაც რაღაც კანონიერი ხასიათი ჰქონდათ და არა უბრალო განმარტებისა. კანონის ხასიათს აქვს, როდესაც განსაზღვრულია სისტემა და წესი ამგვარად გაღებულ ხარჯები.

თავი მეორე. მუხლი პირველი. **პარაგრაფი** ბ. გაყვანა მიწის ლიანდაგისა. მიწის სამუშაო თთავარ ლიანდაგისა;—ოთხკ. საკ. 6,500 თითო საკ. ღირს 50 მ. სულ 325,000 მან.

მიწის დამატებითი სამუშაო სამთო და შემოსარები არხების გასაყვანად, მდინარეთა კალაპოტის გასასწორებლად, მდინარეთა ნარიყალთან ლიანდაგის გასაგნიერებლად, ჯვარედინებზედ გზის გადასახვევად, გადასასვლელის გასაკეთებლად, საგზო შენობებისთვის ქვეშ ნიადაგის გასასწორებლად და სხვ სულ 1500 მ. ოთხკუთ. საკ. ღირს 50 მ. სულ 75,000 მ. მუხლის მიხედვით.

თავმეოთხე. უკაცრავად შედარებითი ტექსტი წაიკითხეთ.

მომხსენებელი მე კეთილშობილ შედარებითი ტექსტს. ვინაიდან მეორე ტექსტი არ მაქვ. რუსული ტერმინების თარგმნა ყოველად შეუძლებელი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩვენ ერთად შევასწორეთ; ჩვენ არც ერთი სიტყვა არ ვგულისხმობ ძველ ტექსტიდან. ჩვენ პირდაპირ რუსული დედანი ავიღეთ და ხელახლად გადავთარგმნეთ. ყოველი რუსული სახელწოდება, ტერმინის თარგმნა დაგვეჭირდა. აი, მაგალითად, დაგისახელებთ: **обводный каналъ** ვთარგმეთ, შემოსარები არხი მაგ. „ბერმის დაყრა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ხიდის გასამაგრებლად თავში და ბოლოში ეყრება მიწა.

ბერმის დაყრა ეს უკეთო ტერმინია და ჩვენ ეს ტერმინი დავტოვეთ, ვინაიდან სხვა სახელწოდება ვერ გამოვნახეთ. „კალაპოტის გაფართოება“ ეწოდება ქართულად ნარიყალის გაფართოვებას. ასეთი რამეს თარგმნა ადგილი არის, სადაც მდინარეს აქვს დიდად გაფართოვებული კალაპოტი. რუ'ულად არის: У разлива рѣки, тамъ, гдѣ рйка разливается. ჩვენ დავსწერეთ: მდინარეთა ნარიყალ[illegible]ნ. შემდეგ აქ არის:

„ჯვარედინებზე,—ეს არის ნახმარი,—სადაც შარა გზა შეხვდება რკინის გზას, მას ეწოდება გზის ჯვარედინი. აი, სწორედ ეს ტერმინი ვიხმარეთ ჩვენ ამ აზრის გამოსახატავად, სადაც ორი გზა ხვდება ერთი მეორეს საკიროა ხშირად, რომ შარა გზამ გადაუაროს რკინის გზას. ამ გზის გადახვეულს ჩვენ ვეძახით „ჯვარედინს“—გზის გადასახვევს.

შემდეგ—აქ სწერია: „გადასასვლელის“ გასაკეთებლად.

ეს არის переѣздъ-ი. თვით переѣздъ-ების გასაკეთებლად, საგზაო შენობებისათვის ქვეშ ნიადაგის გასასჩერებლად და სხვა 1500 ოთხკუთხი საქენი. სულ ჯდება 400 ათასი მანეთი.

მეორე მუხლი: (კითხულობს) „მიწის სამუშაო სადგურებისათვის მოეძნების გასაკეთებლად“.

მოეძანი საჭიროა წინ და უკან, ესე იგი ვაგონ ადგილი „площадка“.

მესამე მუხლი. შეკეთება და გამაგრება დაყრილ ნიადაგის, ორმოების და არხების ფერდობებისა,—40 ეკრსი. თითო ეკრსი 1000 მ. მუხლის მიხედვით სულ 40000 მ.

დაყრილი ნიადაგი, ეს არის „насыпь“, როდესაც დაყრილი იქნება ნიადაგი. ორმოები და არხის ფერდობები უნდა იყოს გამაგრებული. რომ არ ჩამოინგრეს. ეს არის შეკეთება არხების ფერდობების.

მუხლი მეოთხე. (კითხულობს) გამაგრება მდინარეების კალაპოტისა და ხიდის კონუსებისა და მილებისა,—მოკირწყლი[illegible]ი,—ოთხ. კუთ. საჟ. 4000. ოთხ. კუთ. საჟენის ფასი 45 მ. მუხლის მ ხედვით 180000 მ. სულ მე-II-ე თავის ხარჯი 760000 მ.

ხიდის კონუსებისა. ეს უკეთო ტერმინი არის შემოტანილი ქართულ ენაში. კონუსების და მიწის მილების გაკეთება.

შემდეგ: „გზატკეცილის ზედაპირის გაკეთება გზის გადახვევისას. სულ 250 საჟ.—ფასი—15000 მ.

„გზატკეცილის ზედაპირის გაკეთება გზის გადახვევისას“,—ესე იგი როდესაც შარა გზა გადაუხვევს უნდა გაკეთდეს გზატკეცილი.

თავი მესამე. (კითხულობს) ხელოვნური ანაგები, ესე იგი „искусственныя сооруженія“, რადგანაც საერთოდ, ასე თუ ისე ეს ნიშნავს აგებას, ამას ხმაროობენ პროვინციაში. ჩვენც საჭიროდ დავინახეთ ამის ხმარება. ამ აზრის გამოსახატავად ძველ ტექსტში ეწერა ხელოვნელი შენობები. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ბეტონის დაგება დასაყრდნობისათვის ბალავარის ამოსაყვანად არ იქნება ხელოვნუ[illegible]ი შენობები. ეს იქნება ხელოვნური ანაგები.

მუხლი პირველი. პუნქტი ა. ბეტონის დაგება დასაყრდნობისათვის ბალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერის ამოყვანით,—ოთხ. კუთ. საე. 55. საკენის ღირებულება 900 მ. სულ 49500 მან.

„დასაყრდნობისათვის **ბალავარის**„ ამოყვანით. ბალავარი „основаніе". საფუძველის ქვეშ, რაც ამოიკრეფება და ამოიყვანება.

პუნქტი მეორე: (კითხულობს) „ხიდის თვლის დროებითი ხის თაღები. სიგრძით 80 საე. ღირს 209,500 მ. რუსულად არის „Проволочныя", რომელიც ნიშნავს ხიდის ბურჯის და ბურჯის შუა დარჩენილ ადგილს.

პუნქტი 3. (კითხულობს) დროებითი ხის ხიდები ხისავე ბურჯებით 50 საკენი. ჯდება 150,000 მ.

თავი მეოთხე. ზედანაშენი верхнее строеніе, ის, რაც ზევით არის **ნაშენები**. (კითხულობს) 1 **მუხლი**. ქვეშა სამალასანი ნაფენისათვის გზასა და გზას შუა დასაყრელად და დაწეულ ლიანდაგის გასასწორებლად, თუ ვივარაუდებთ ეს სამოცდა ათ ოთხკუთხ საკენს 1 ვერსზე და ნაფენის სისქეს საშუალოდ 0,18 საე. 48 ვერსზე, 8160 ოთხ კუთხი საკენი თითო საკენი ღირს 80 მან. სულ 652800 მან.

2 **მუხლი**. შპალი 1530 თვითეული ვერსზე, თუ 2% მივიღებთ დანაკარგს, სულ 42840 ცალი. ფასი ამ შპალებისა არ არის აღნიშნული, რადგან ეს შპალები დამზადებული არ არის.

შენიშვნა მეორე მუხლისათვის. აქამდე დაგებულია 19 ვერსი მთავარი გზის და 1 ვერსი სასადგურო; დარჩენილია დასაგებად 28 ვერსი. შპალები დამზადებულია. ამისთვის მათი ფასი აღნუსხული არ არის.

მუხლი მესამე. პუნქტი ა. (კითხულობს) რელსები ფოლადის ტიპი III-a სამაგრებითურთ მთავარი და სამგზავრო ლიანდაგისათვის,—ვერსი 21.

„**სამაგრებითურთ**", „со крепами". ფასი ნაანგარიშეი /არ არის. აქ არის შენიშვნა. (კითხულობს)

რელსი ტიპ. III-a **სამაგრებითურთ დამზადებულია**. ამისათვის ფასი ნაანგარიშეი არ არის.

რელსები ამ დანიშნულებისათვის **არ** არის; განზრახულია მათი მიღება რესპუბლიკის რკინის გზის სადგურების უმოქმედო ლიანდაგებიდან, ამისთვის რელსების ფასი **ხარჯთ**-აღრიცხვაში შეტანილი არ არის. შეტანილია მხოლოდ 10.000 **მან**. რელსების აყრისა, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და გადაზიდვის ხარჯისათვის სამსახურის ტარიფის **მიხედვით**.

„**სამსახურის ტარიფი**"—служебный тарифъ. **მუშები მსახურებენ** ამ ტარიფის **ანგარიშით**.

პუნქტი ბ. (**კითხულობს**) **რელსი** ფოლადისა ტიპი III-a სამაგრებითურთ **სასადგურო** ლიანდაგისთვის ვერსი 7.

მუხლი მეოთხე. პუნქტი ა. **დაგება** რელსებისა **და** სააბისო **მასალის** მიზიდვა **სადგურებიდან** სამუშაო **ადგილს**, ლიანდაგის **გამაგრება** და **გამართვა**, ვერსი 28.

რკინის **გზის** სადგურის **წინ** და **დანარჩენ** ლიანდაგზე **გასაკუთრებულ** ტიპის **რელსები** ეგება.

ფასი **შეტანილია** საერთოდ **მუხლის** მიხედვით—70 **ათასი** მან.

პუნქტი ბ. (**კითხულობს**) **ლიანდაგის** აწევა **სათანადო** სიმაღლეზე **და** ამოსწორება **ჩამჯდარი** ადგილების,—**ვერსი** 48.

პუნქტი გ. (**კითხულობს**) **ლიანდაგის** **მოვლა** **საექსპლოატაციოდ** **გადაცემამდე**,—**ვერსი** 48.

მუხლი **მეხუთე**. **შეკეთება** **სამოძრაო** **შედგენილობისა**. **ეს** **ბახლავთ**—**ПОДВИ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

жной составъ:—სამოძრაო შედგენილობა (კითხულობს) შეკეთება სამოძრაო შედგენილობისა სულ მოითხოვს 46 ათას მანეთს.

თავი მეხუთე. მუხლი პირველი. ლანდგაგის კუთვნილებანი. (კითხულობს) ვერსის მაჩვენებელი ბოძები, ალმართ-დალმართის ნიშნები, მოსახვევების მაჩვენებელი, სადარაჯოს ნიშნები, სამუშაო ნაწილები და უბნების მაჩვენებელი, წყლის საზომი და საზღვრის ბოძკონტები,—ვერსი 40.

ი ი ამას აქვს სათაური: ლიანდაგის კუთვნილება.—принадлежности пути.

მუხლი ბ. (კითხულობს) ბაირაღები და გზის შესაკეთებელი ხელსაწყო. აქ არის ფასი ნაანგარიშევი, 30 ათასი—სულ მეხუთე თავის მიხედვით არის ნაანგარიშევი 560 ათასი მან.

თავი მეექვსე. (კითხულობს) თავი VI. ტელეგრაფი. 1. გაყვანა მეორე სატელეგრაფო მავთულისა, იზოლიატორებით და კაკვებით და მავთულებისა სახელმწიფო ტელეგრაფის სადგურებთან შესაერთებლად.

2. სენაკიდან სოხუმამდე, ტელეგრაფისა და მოსამსახურეთა შენა გზის საექსპლოატაციოდ გადაცემამდე, სულ მეექვსე თავის ხარჯი 65 ათასი.

თავი მეშვიდე. სადარაჯო სახლები, კაზარმები და გადასასვლელები 1. სადარაჯო შენობები დროებითი, ფარდულის ტიპისა,—ოთხკუთ. საკ. 55.

2. აგრეთვე ყაზარმები და მცირე ყაზარმები სარემონტო არტელისა და გზის ოსტატებისათვის ოთხკუთ. საკ. 85.

3. გადასასვლელები რელსების დონეზე,—ყოველგვარი მოწყობილობით,—გარდა მიწის სამუშაოსი, რომელიც აღნუსხულია მეორე თავში,—ცალი 30 სულ მეშვიდე თავის ხარჯი 187 ათასი.

თავი მერვე (კითხულობს) მიღებულია ფასები პროექტისა. სადგურის შენობები· შენობა მგზავრთათვის და სადგომები დროებითი ფარდულის ტიპისა,—ოთხკუთ. საკ. 160, სულ მერვე თავის ხარჯი 128,000. მან.

თავი მეცხრე. (კითხულობს) 1. წყლის მიწოდება სადგურებისათვის გაკეთება 2 დროებითი წყალსაღებისა, თავის მოწყობილობით და ხის აუზით, სულ მეცხრე თავის ხარჯი 50,000 მ.

თავი მეათე. „სადგურის კუთვნილებანი“ принадлежности станціи. (კითხულობს) თავი მეათე. სადგურის კუთვნილებანი. ა. გაწყობა ისრებისა თავის ჯვარედინთა შპალებზე,—15 ცალი.

ბ) დროებითი ჩიხის გამართვა,—4 ცალი.

გ) აშენება მეისრის სადარაჯოსი 2.

დ) სემაფორების მოტანა და დადგმა 4 ცალი.

დადგმა ნავთ-ვარვარა ფარნებისა სადგურებზე,—4 ცალი, სულ მეათე თავის ხარჯი 16,300 მან.

პარაგრაფი დ. ამ პარაგრაფს აქვს შენიშვნა (კითხულობს) მე-X თავის I მუხლის § ა-თვის. სემაფორის მიღება განზრახულია სახაზინო რკინის გზის უფროსმედო ასაქცევებიდან, რის გამო მათი ფასი აღნუსხული არ არის.

ამ მუხლში გახლავთ ერთგვარი ნეოლოგიზმი შემოტანილი ჩვენ ენაში. შეტანილია „керосинокалильные фонари“. ჩვენ 2 სიტყვა შევეუერთეთ და ვიხმარეთ ასეთი ნეოლოგიზმი: „ნავთ-ვარვარა ფარნები“.

(ხმა: ეს ხომ ქალის სახელია) უკაცრავად, ვარვარა—რუსულად გახლავთ ქალის სახელი. ქართულად ბარბარეა. ქართველი არ შესცდება და რუსი თუ შესცდება, სხვა სახელი იხმაროს. ქართულა არის ბარბარე, რუსულად ვარვარა.

თავი 11 (კითხულობს) თავი XI. საერთო ხარჯი. ადმინისტრაციის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანიტარული ნაწილის შენახვა, ხარჯი, საკანცელარიო გადასელილისა და სხვა სულ-მე-XI თავის ხარჯი 350,000 მან.

მოულოდნელი ხარჯები (კითხულობს) მოულოდნელი ხარჯი ამ ხარჯთ-აღრიცხვისთვის მეორედან მეათე თავამდე აღნიშნულ ჯამის ერთის და ერთი მეოთხედი % ანგარიშით. სულ შე-XII თავის ხარჯი 31,400, საერთო ჯამი ხარჯთ-აღრიცხვისა 340,0000.

ხ3. კედია. (ადგილიდან) ეს კარგი ჯაფა დაგაწვათ!

თავმჯდომარე. შემდეგი კანონ-პროექტი. მომხსენებელია პარლამენტის წევრი ბ. ამირეჯიბი.

საბოლოო ტექსტი გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატებისა.

შალვა ამირეჯიბი. საქართველოს საგარეო სამინისტროსაგან წარმოდგენილი თავის უწყების ხარჯთ აღრიცხვა, წინა კრებაზე უკვე მიღებული იყო პარლამენტის მიერ.

ამ ხარჯთ-აღრიცხვაში ისეთი ცვლილება არაფერია შეტანილი. მხოლოდ სათაური გამოიცვალა.

საქმე ისაა, რომ ამ კანონ-პროექტს ეწოდებოდა კანონ-პროექტი გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისა.

სარედაქციო კომისია ფიქრობს, რომ სჯობს დაეწეროთ პირდაპირ ხარჯთ-აღრიცხვა გარეშე საქმეთა სამინისტროსი 1918 წლისათვის.

ეს რასაკვირველია კანონი არ არსა. ეს შეადგენს ერთ ნაწილს საზოგადო ხარჯთ-აღრიცხვისა. ამიტომ უკეთესი იქნებოდა, რომ მას ეწოდებოდეს ხარჯთ-აღრიცხვა საგარეო საქმეთა სამინისტროსი 1918 წლისა. (კითხულობს).

1. დამტკიცებულ და ამა 1918 წ. ივნისის პირველიდან მიღებულ იქნეს ამ კანონთან დართული გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.

II. გადაიდოს სახელმწიფოს ხაზინის თანხიდან ამ კანონის I მუხ. აღნიშნული ხარჯებისათვის ოთხას ოთხმოცდა ჩვიდმეტი ათასი ხუთას ორმოცდათი (497550) მან.

შემდეგის განაწილებით: 1) შტატის შესანახავად 102550 მან. 2) საკანცელარიო ხარჯისათვის 7000 მან. 3) ბინის დასაქირავებლად 6000 მან. 4) გათბობისა და სხვა საშინაო ხარჯისათვის 7000 მან, 5) უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების მისაღებად 150000 მან., 6) საქართველოს წარმომადგენელთა შესანახად 125000 მან. და 7) მინისტრის განკარგულებაში 100,000 მან.

ეს მუხლები უცვლელადაა მიღებული.

შემდეგ პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში ნათქვამია მანქანებზე გადამწერი 4. წლიური ჯამაგირი თითოს 4800 მ. ივლისის 1-დან წლის დამლევამდე 11200 მ.

ჩვენ დაგწერეთ მანქანით გადამწერი.

სხვა ცვლილება ისეთი არ არის რა.

თავმჯდომარე. შემდეგ კანონ-პროექტის შესახებ მომხსენებელი გახლავთ დავით ონიაშვილი.

განხილვა სახელმწიფოს ქაღალდების მბეჭდავ ექსპედიციის ხარჯთ-აღრიცხვის კანონ-პროექტისა.

დავით ონიაშვილი. კანონ-პროექტი სახელმწიფოს ქაღალდების მბეჭდავ ექსპედიციის ხარჯთ-აღრიცხვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარლამენტის წევრნო, ეს კანონ-პროექტი შესდგება სულ ორი მუხლისაგან, მაგრამ ვიდრე გადავიდოდეთ კანონ-პროექტის განხილვაზე მე მინდა პარლამენტის ყურადღება მივაქციო ორიოდე სიტყვა ხასიათის მოსაზრებაზედ.

ეს კანონ პროექტი გადმოვიდა საფინანსო კომისიაში. საფინანსო და სამრეწველო სამინისტროდან.

ეს სამინისტრო მოითხოვს, რომ პარლამენტმა დაამტკიცოს ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის ჯამი უდრის სულ 827295 მანეთს, დაახლოვებით.

შეიძლება ზოგიერთს ეგონოს, რომ ეს ძალიან დიდი არის, ამ გარდამავალ მდგომარეობისათვის, რომელშიაც იმყოფება დღეს ჩვენი რესპუბლიკა. მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ საერთოდ ხარჯები ამ ექსპედიციისა, თუ მივიღებთ მხედველობაში დღეგანდელ ცხოვრების პირობებს, არც ისე ბევრი არის. საქმე იმაშია, რომ ექსპედიციას დიდი მუშაობა აწევს თავზედ. თქვენ მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ საბუჭდავ მანქანას, ისე ინტენსიურად და სისწრაფით თავის დღეში არ უმუშავნია, როგორც დღეს, როდესაც სახელმწიფოს ძალიან ნაკლები შემოსავალი აქვს.

მაშასადამე, ერთად ერთი წყარო შემოსავლისა არის ის საბეჭდავი მანქანა, რომელიც დაუღალავად ჰბეჭდავს და ჰბეჭდავს ბონ ბს.

ამის გარდა ამ ექსპედიციისთვის საჭირონი არიან ისეთი მომუშავენი, რომელნიც თავის დარგში ნამდვილი ხელოვნები არიან. აი, მაგალითად, ექსპედიციაში არის, ეგრედ წოდებული, სამხატვრო ნაწილი. უნდა მოგეხსენოთ, რომ ამ სამხატვრო ნაწილში ყველას არ შეუძლიან მუშაობა. აქ ისეთნი არიან მოწვეულნი, რომელნიც მართლაც ვირტუოზები არიან თავიანთ საქმისა და მშვენივრად იციან ხატვა და ბეჭდვა.

ამის გარდა აქ საჭიროა პასუხისმგებლობა. ეს ისეთი საქმე არის, რომელისთვის ყველა მომუშავის დაჭირა არ შეიძლება. აქ საჭიროა ინტელიგენტური მუშაობა და ძნელია ამასთანა ადამიანის გამოძებნა.

თუ მივიღებთ მხედველობაში ამ ორ პირობას: ერთს იმას, რომ ექსპედიციას აქვს დიდი მნიშვნელობა, მეორე კიდევ სიძნელეს, სირთულეს ამ შრომისას, რომელსაც ვერ აასრულებს ყველა ჩვეულებრივი მუშავი, მაშინ, გაიგებთ, პარლამენტის წევრნო, რომ ის ფული, რომელსაც მოითხოვს სამინისტრო, მაინც და მაინც დღევანდელ პირობების მიხედვით, არ არის ბევრი.

რაც შეეხება მუშების დაკმაყოფილებას, იმ მუშების, რომელნიც მუშაობენ ექსპედიციაში, უნდა მოგახსენოთ, რომ ის ფარები ის ჯამაგირები ისეთივე არის, როგორც პროფესიონალურმა კავშირმა გადასწყვიტა. ისე, რომ ამის შესახებ დიდი დავა არ იქნება. შეიძლება დავა გამოიწვიოს იმ ჯამაგირებმა რომელნიც სამხატვრო და საბეჭდავ ნაწილში არის. ყოველ შემთხვევაში ამაზე შემდეგ გადავალთ, როდესაც ხარჯთ-აღრიცხვას დაუბრუნდებით და დაწვრილებით გავარჩევთ ხარჯთ-აღრიცხვას. ახლა კი თუ ნებას მომცემთ, კანონ-პროექტს წავიკითხავ.

თავმჯდომარე. უკაცრავად, ვის სურს სიტყვა საერთოდ ამ კანონ-პროექტის შესახებ? არავის. ვინ არის წინააღმდეგი, რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე? არავინ. გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი,

დავ. ინიშაშვილი (კითხულობს) 1. დამტკიცებულ და ამა 1918 წლის ივნისის პირველიდან განხორციელებულ იქნეს იქნეს ამ კანონთან დართული ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან დაწესებული სახელმწიფო ქალაქდების მბეჭდავ ექსპედიციის შტატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? არავის. ვინ არის წინააღმდეგი ამ მუხლისა? არავინ. მაშასადამე ეს მუხლები მიღებულია.

გთხოვთ მეორე მუხლი წაიკითხოთ.

დავ. ინანიშვილი. (კითხულობს) 2. გადაიდოს სახელმწიფო თანხიდან ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული შტატებისათვის 827205 მან. შემდეგი განაწილებით: 1) მოსამსახურეთა ჯამაგირისათვის 400295 მან., 2) ნორმაზე გადამეტებულ შრომისათვის 126000 მან., 3) ელექტრონის ენერგიისათვის 7000 მან., 4) ქაღალდი, საღებავი და ლიტოგრაფიის მასალებისათვის 6000 მან.; 5) ვაბმობისათვის 3000 მან., 6) რემონტი მანქანების, ინვენტარის და შენობის 7000 მან., 7) საკანცელარიო და მოულოდნელ ხარჯებისათვის 7000 მან., 8) ექსპედიციის შეკვეთილ საგნებზე კერძო ხელოსნებისათვის მისაცემი გასამჯელო 40000 მან., 9) პრაქტიკანტების მოსაწვევად 7000 მან., 10) ფოლადის კასის და სხვა ინვენტარის შეძენა 20000 მან., 11) სასურსათო საშინაოს ტროს ვალი 150000 მან.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? არავის. ვინ არის წინააღმდეგი? ეს მუხლიც მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ ხარჯთ აღრიცხვა.

დავით ინანიშვილი (კითხულობს).

შტატი სახელმწიფო ქაღალდების მბეჭდავ ექსპედიციისა.

თავი I.

გამგე ექსპედიციისა 1. წლიური ჯამაგირი 12.000 მ. 1 ივნისიდან წლის დამლევამდე 7.000 მან.

უფროსი თანაშემწე 1. წლიური 11.400 მან. წლის დამლევამდე 6.650 მ.

უმცროსი თანაშემწე 2. წლიურად თვითეულს 9.600 მ. წლის დამლევამდე 11.200 მან.

ბუხჰალტერი 1. წლიურად 9.100 მ. წლის დამლევამდე 5.600 მან.

თანაშემწე 1 წლიური 7.200 მ. წლის დამლევამდე 4.200 მ.

თავი II.

საკანტროლო კომისია. უფროსი ზედამხედველი 1. წლიური ჯამაგირი 9.000 მ. 1 ივნისიდან წლის დამლევამდე 5.250 მან.

ზედამხედველი 21. წლიური თვითეულს 8.400 მ. ყველას 176.400 მ. წლის დამლევამდე 102.900 მან.

თავი III.

სამხატვრო ნაწილი. გრავერი პირველი 1. წლიური 14.400 მან. წლის დამლევამდე 8.400 მან.

მეორე გრავერი 1. წლიური 8.736 მ. წლის დამლევამდე 5.096 მან.

I.

დაჭრა და დათვლა ქაღალდებისა. გამნაწილებელი 1. წლიური 8.064 მან. 1 ივნისიდან წლის დამლევამდე 4.704 მ.

დამჭრელი 1. წლიური 8.064 მ. წლის დამლევამდე 4.704 მ.

მისი თანშემეწე 1. წლიური 5.352 მ. წლის დამლევამდე 3.122 მ.

დამთვლელი ფურცლებისა 4. წლიურად 4.800 მან. წლის დამლევამდე 11.200 მან.

დამთვლელი სახელმწიფოს ბანკიდან 4. წლიურად თვითეულს 1.800 მ. ყველას წლის დამლევამდე 4.200 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასირი სახელმწიფო ბანკიდან 1. წლიური ჯამგვირი 1.200 მ. წლის დამლევამდე 700 მან.

ლიტოგრაფია.

ლიტოგრაფიის გამგე 1—10000 მ. წლის ბოლომდი 6300 მ.
მისი თანაშემწე 1 წლიური 9600 მ. წლის დამლევამდე 5600 მ.
უფროსი ხელოსანი 1 წლიური 10080 მ. წლის დამლევამდე 5880 მ.
დაზგაზე მბეჭდავი 3 წლიური 8064 მ. წლის დამლევამდე 14112 მ.
ხელქვეითი 4 წლიური 6336 მ. წლის დამლევამდე 12544 მ.
გრავერი I კათეგორიისა 2. წლიური 8736 მ. წლის დამლევამდე 10192 მ.
გრავერი II კათეგორიისა 1. წლიური 8400 მ. წლის დამლევამდე 4900 მ.
გრავერი III კათეგორიისა 1. წლიური 6384 მ. წლის დამლევამდე 3724 მ.

მანქანით მბეჭდავი.

I კათეგორიის 4 წლიური 8064 მ. წლის დამლევამდე 18816 მ.
II კათეგორიის 1 წლიური 7728 მ. წლის დამლევამდე 4508 მ.
III კათეგორიის 1 წლიური 7392 მ. წლის დამლევამდე 4312 მ.
დამწყობი I კათეგორიის 5 წლიური 5376 მ. წლის დამლევამდე 15680 მ.
დამწყობი II კათეგორიის 1 წლიური 5040 მ. წლის დამლევამდე 2940 მ.
გაჩარხველი 2. წლიური 5712 მ. წლის დამლევამდე 6664 მ.
სამხატვრო წამლების მლესავი 1. წლიური 5376 მ. წლის დამლევამდე 3136 მ.
ქაღალდების მოანგარიშე 1. წლიური 6048 მ. წლის დამლევამდე 3528 მ.
მოლარე მესაკუთნავე 1. წლიური 7200 მ. წლის დამლევამდე 4200 მ.
მისი თანაშემწე 3. წლიური 6000 მ. წლის დამლევამდე 4000 მ.
მეტალოსანი 1. წლიური 5400 მ. წლის დამლევამდე 3150 მ.
მუშა 10. წლიური თითოს—5040 მ. წლის დამლევამდე 29400 მ.
მოსამსახურე I კატეგორიის 1. წლიური 4140 მ. წლის დამლევამდე—2415 მ.
„ II „ 5. თითოს წლიურად 3780 მ. ყველას წლის დამლევამდე 11025 მ.
„ III „ 1. წლიურათ 3420 მ. წლის დამლევამდე 1995 მ.
კასირი 1. წლიური 9000 მ. წლის დამლევამდე 5250 მ.
მისი თანაშემწე 1. წლიური 7200 მ. წლის დამლევამდე 4200 მ.
მსახური 2. წლიური 5124 მ. წლის დამლევამდე 5928 მ.
მეკარე 2 წლიური 5040 მ. წლის დამლევამდე—5880 მ.

დ ა რ ა ჯ ე ბ ი.

აფიცერი 1. წლიური 2160 მ. წლის დამლევამდე 1260 მ.
ჯარისკაცი 12. წლიური 540 მ. წლის დამლევამდე 3780 მ.
სულ წლის დამლევამდე ყველას 400,295 მ.

დ ა მ ა ტ ე ბ ა.

ნორმაზედ გადამეტებული შრომისათვის (ქვემორე აღნიშნული თანხა გა-[illegible] ნლის წლის დამლევამდე) 126,000 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონის ენერგიისათვის 7000 მ.
სალტბავე ქალაქდი, და ლითოხრაფიის მასალა 60,000 მ.
გათბობა 3,000 მან.
რემონტი მანქანებისა, ინვენტარის და შენობის 7.000 მ.
საკანცელარო და მოუოლოდნელი ხარჯი 7000 მან.
ექსპედიციის შეკვეთილ საქმისთვის კერძო ხელოსანთა გასამრჯელო 40000 მ.
პრაქტიკანტების მოსაწვევად 7000 მ.
ფოლადის კასის და სხვა ინვენტარის შეძენა. 20000 მ.
სასურსათო სამინისტროს ვალი 150000 მ.
სულ წლის დამლეგამდე 827295 მ.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? არავის. ვინ არის წინააღმდეგი ამ ხარჯთ-აღრიცხვისა? არავინ. მაშასადამე ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულია.

შემდეგ კანონ-პროექტის შესახებ მომსსენელი გახლავთ დავ. ონიაშვილი.

კანონ.პროექტი აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ სტატისტიკის შედგენისა.

დავით ონიაშვილი. კანონ პროექტი აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ სტატისტიკის შედგენისა შესახებ. ნება მომეცით, პარლამენტის წევრნო, ამის შესახებ, მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა, რომ განვმარტო [illegible] ამ კანონ-პროექტ[illegible]ი სა[illegible]ზია.

მიწათ-მოქმედების სამინისტრო თხოულობს სტატისტიკური განყოფილების დაარსებას. თქვენ მოგეხსენებათ ყველას, რომ ამ უწყებაში დიდი მუშაობა არის დაწყობილი. ეს მუშაობა შეეხება აგრარულ რეფორმას, რომელსაც მიზნად აქვს დიდ მემამულეებისაგან მიწის ჩამორთმევა ნორმის მიხედვით და მიწების გადაცემა მშრომელ გლეხების ხელში. მაგრამ ცხლანდელ პირობებში მოგეხსენებათ, აგრარული რეფორმა, რასაკვირველია, ერთი ხელის დაკვრით არ გადასწყდება. ამას წინ უნდა უძღოდეს მიწის მფლობელობის ყოველმხრივი შესწავლა, და უპირველ ყოვლისა, სტატისტიკური შესწავლა. ჩვენ ქვეყანაში, საერთოდ ძალიან ნაკლებად, მოიპოვება სტატისტიკური ობიექტიური ცნობები რადგანაც ეს დარგი ძალიან ნაკლებად გვაქ შესწავლილი.

ერთად ერთი მასალა, რომელიც არის ამ დარგში და რომელზედაც შეიძლება დაეყრდნოს კანონ მდებელი, არის ის მუშაობა, სტატისტიკური აღწერა, რომელიც არსებობდა 1916 წ. ზაფხულში, ეგრეწოდებული სამეურნეო სტატისტიკური აღწერა.

თქვენ გეცოდინებათ, რომ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში მოხდა ეს სტატისტიკური აღწერა. მაგრამ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, ამ სტატისტიკურ აღწერამ ვერ გამოიღო ის ნაყოფი, რომლის იმედი ჰქონდა მთავრობას. ის მუშაობა, ასე ვთქვათ, შეა გზაზედ შეჩერდა, და ეს სარგებლობა, რომელსაც მაშინდელი მთავრობა მოელოდა, ვერ გამოიღო. ეს აუარებელი მასალა შეგროვილია და მოითხოვს დეტალურ შესწავლას და სისტემატიზაციას. ამას უნდა დრო და მომუშავე ძალები. მაშასადამე, როდესაც მიწად-მოქმედების სამინისტრო მოითხოვს სტატისტიკურ განყოფილების დაარსებას,—ამ დაწესებულებამ, უპირველეს ყოვლისა უნდა დაისახოს ის, რომ შეისწავლოს ქაოტიურად დაგროვილი მასალა, და, ასე თუ ისე, ის დასკვნა გამოიტანოს, რომელიც საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ამ უწყებისათვისვე.

ეს ერთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე, ამ უწყებაში მოიპოვება, სხვათა შორის, სხვა და სხვა დოკუმენტები. თქვენ იცით, რომ ძველი მთავრობის დროს, ეს ეწოდა წოდებული, საადგილ-მამულო კომისია „Землеустройтельная комиссія", და აქ აუარებელი დოკუმენტები არის დაგროვილი, სხვათა შორის ქაოლდები და ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ესა თუ ის წესი აგრარულ რეფორმისათვის, თუ რამდენად საჭიროა სტატისტიკური ორგანო,—ეს, უსათუოდ, არის საგანი აგრარული კომისიისა, მაგრამ აგრარულ კომისიაში ეს კანონ-პროექტი არ გვიარაღებულა და, ამ შემთხვევაში, მე მგონია, ეროანი ედება არა თითონ პარლამენტს, იმიტომ რომ პარლამენტი არის ხელმძღვანელი ორგანო, არამედ სამინისტროების კანცელარიებს და უფრო უმაღლესნი ორგანოებს.

ისეთი კანონ-პროექტი, როგორიც არის, მადნეული წყლების წყაროების სტატისტიკა, ისეთი კანონ-პროექტი ფინანსიურად და აგრარულად, წარმოადგინა აგრარული კომისიამ. და ასეთი კანონ-პროექტი, რომელიც შეეხება მთლიანად მთელ აგრარულ სტატისტიკას, ყველა მის დარგს, იქნება ის მადანი თუ თევზეულობა, ოღონდ მიწაზე იყოს და აგრარულ რეფორმასთან კავშირი ჰქონდეს, ეს გადადის მხოლოდ ფინანსიურ კომისიაში, მიწათ-მოქმედების მინისტრის ადრესის დაწერის გამო. ამიტომ არის, მაგალითად, რომ ერთგვარი არევ-დარევა ხდება.

ნაწილი ამ დარგისა, ან და ისეთი ხარჯი, რომელიც უსათუოდ დაკავშირებული ამ დარგთან და მასთან ერთად უნდა იყოს განხილული ფინანსიურ და აგრარულ კომისიის მიერ. ამ ნაწილს იღებს აგრარული კომისია. ეს ეხება მადნეულ წყლების სტატისტიკას, და მთელი კი ცალკე შემოდის დღეს ფინანსიურ კომისიის მოხსენებით.

შემდეგ აღსანიშნავია, რომ თუ ჩვენნი სამინისტროები, საერთო ხელმძღვანელი საკანონმდებლო ორგანოები, ყოველივე რეფორმის და მით უფრო აგრარულ რეფორმის ევროპიულ წესით ატარებენ, ან უნდათ, რომ ატარონ, მაშინ სტატისტიკა ცოტა ადრე უნდა ყოფილიყო დაგროვილი. თორემ, ეხლა, შეიძლება ითქვას, რომ, რევოლუციის გადრმავების გამო, სტატისტიკით ხელმძღვანელობაზე მეტი აღმოჩნდება, და არავითარი მნიშვნელობა ამას არ ექნება ცხოვრებაში. კერძოდ იმ სტატისტიკას, რომელიც უსათუოდ უნდა გვქონოდა დაგროვილი, ჩვენ საქართველოს სახელმწიფოს თვალსაზრისით, არა თუ მაშინ არ უთამაშია როლი, არ გამოუყენებიათ იგი, როცა დატოვების ნორმებით საკითხს სწყვეტდნენ, არამედ ეხლაც, როდესაც თითქმის უკვე მზად არის კანონ-პროექტი დარგებისა, იმ ფონდის განაწილებისა, რომელიც დაარსდა აგრარულ რეფორმის შემდეგ.

მალე, ალბად დამტკიცებული იქნება ეს ფონდი, ქალაქზე მაინც დაადგნენ, და განაწილებას შეუდგებიან. ციფრები უკვე არის ნაგარაჯევი თუმცა კანონ-პროექტში ჯერ არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ალბად იმასაც მალე წარმოადგენენ და თუ ეხლა იწყებენ ამ დიდ სტატისტიკის საქმეს,—შეიძლება ეს დამფუძნებელ კრების ერგოს, მემკვიდრეობით. ამ სტატისტიკურმა ცნობებმა, შეიძლება ჯინონების გადამსინჯვის დროს ხელი შეუწყონ დამფუძნებელ კრების წევრებს, მაგრამ მაინც და მაინც არ შეიძლება მაზანშეწონილად ჩაითვალოს ასეთი წესი სამინისტროს აგრარულ პოლიტიკისა.

ეს ერთი.

ეხლა მე მინდა ვისარგებლო იმ შემთხვევით, რომ ამის გამო შეიძლება ლაპარაკი სამინისტროს აგრარულ პოლიტიკაზე, რასაკვირველია, არა მარტო პერსპექტივებზე, ეს მეტის მეტი გამოისობა იქნებოდა, არამედ ისეთ რამეზე, რომელიც არის ამ ციფრებში, ამ მასალაში დამეწავებული.

მე მგონი, რომ რადგანაც ბ. ხოვრია უკვე არის მინისტრი არა კომისარიატისა, არა ამიერ-კავკასიის მთავრობისა, არამედ საქართველოს მთავრობისა და სახელმწიფოსი და აგრეთვე მისა ამხანაგი ბ. გელეიშვილი. ეხლა მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობას, თუ იმ მუშაობას რომელსაც ისინი ხელმძღვანელობენ, სხვანაირი ხასიათი უნდა ჰქონდეს. ის კი ძველი წარმოსადგენია, რომ ერთსა და იგივე ხალხს შეეძლოს, ან და ერთ და იმავე ხალხმა შესძლოს აგრარულ რეფორმის თვის საჭირო ციფრების დამუშავება, ჯამის შედგენა, პროკენტების ვარაუდი და სხვა ყველაფერი, როგორც კავკასიის კომისარიატის დროს ისე ამიერ კავკასიის რესპუბლიკის დროს. ეხლა, როდესაც ცხოვრებაში ეს პროცესი რეორგანიზაციისა, ნაციონალიზაციისა, გაქართველებისა, რომელიც არა ჩვენ მოთხოვნილებით, არამედ ცხოვრების მოთხოვნილებით, ფაქტიურად ყველგან ტარდება, ეს პროცესი უნია შეხებოდა თვით მიწათ მოქმედების სამინისტროსაც. მართალია ციფრები დიდი რამ არის საერთოდ, მაგრამ ჯერ კიდევ გოეტეს უთქვამს, რომ სტატისტიკა და ციფრები ისეთი რამ არის, რომ რასაც გინდა იმას დაამტკიცებსო. ასეთი ტენდენციობა როგორც, ეროვნულ ისე პარტიულ მოსაზრებით.

ამ შემთხვევაში მე ვლაპარაკობ ეროვნულ მოსაზრებაზე.

ძველი წარმოსადგენია, რომ უცხოელმა, პეტროგრადიდან ან და ვარშავიდან გამოწერილმა არა ქართველმა, შეხედოს და გაიგოს, სახელმწიფოსაგან მიწოდებული ციფრები და ისე დალაგოს, როგორც ეს საჭირო არის კანონ-პროეტტისთვის და ნოველებისთვის, რომელსაც მოითხოვს საქართველო ეროვნულ სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით.

თუმცა მე აგრარულ კომისიის წევრი არა ვარ, მაგრამ მუდმივ დავიარები იქ, რადგანაც როგორც პარლამენტის წევრს ამის უფლება მაქვს, ბევრჯელ მოვსწრებივარ ასეთ სცენას, რომ აგრარულ კომისიის ყველა დეპუტატი იძულებული არის ილაპარაკოს რუსულად, მხოლოდ იმიტომ, რომ განპარტებითი წერილობით არის წარმოდგენილი ან მარტო რუსულ ენაზე, ან და რუსულიდან ისეა ნათარგმნი ქართულად, რომ ყველა დეპუტატი და თავმჯდომარე აცხადებს: სჯობიან რუსულად წავიკითხოთ ვიდრე ქართულადო. რომ ეს ასე არის, ამის შესახებ ხალხთან ახლო მდგომი გაზეთი გვაუწყებს, ეს არის გაზეთი „ერთობა“, იქ სწერია: (კითხულობს).

მე როგორც ვატყობ, ეი ამ კილოზე. საქმე იმაშია, რომ აქ ქართულად არის ნათარგმნი, მაგრამ ქართულს არ ჰგავს.

რამდენჯერმე იყო, რომ მომხსენებელს მიუკითხავად სამინისტროსაგან სხვა და სხვა საკითხების შესახებ, ტყის ექსპლოატაციაზიაზე, შემდეგ მადნეულ წყლების აღწერისთვის საჭირო სტატისტიკა, და ყველაფერი აღმოჩენილა არა ქართულ ენაზე. რადგან ყველა სპეციალისტები აღმოჩენილან არა ქართველები. რასაკვირველია, ეს შეიძლება იმითაც იხსნას, რომ საქართველოში აგრარულ რეფორმის გატარება ისეთი საგანია, რომ ამ დარგში ასეთ ნოველების გამოცემა შეეძლოთ მხოლოდ უცხოელებს, ისე როგორც (პოლიტიკური საჭურისებს,—უკრიტიკოთ, რომ არ შესულიყვნენ არავითარ განმარტებაში თუ როგორ ეხება ეს ცხოვრებას. შეიძლება უკეთესი ადმისრულებელნი. საერთოდ ამ აგრარულ პოლიტიკისა ჩვენ სამინისტროში არ მოიპოვებოდნენ ვიდრე უცხოელები, რომელიც მხოლოდ იმისთვის, რომ სიმშილით არ მოკვდნენ სხვა და სხვა სპეციალისტებთან გამოდიან მიწათ-მოქმედების სამინისტროში.

მე დარწმუნებული ვარ, ვერც კანონების შედგენით, ვერც სტატისტიკის შედგენით, ვერც კანონების გატარებით ცხოვრებაში საქართველო, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, არ იქნება უზრუნველყოფილი. არ იქნება უზრუნველყოფილი იმიტომ, რომ ამის ავტორები ამის განმახორციელებელნი არიან უცხოელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არის ეროვნული მოსაზრება იმდენად, რამდენადაც, თუ გნებავთ ბგ ამავე დროს არის წმინდა ხალხური, დემოკრატიული. იმიტომ, რომ, როგორ უნდა მოსთხოვოთ პეტროგრადის მუშათა საბჭოს მყოფ წევრებს, რომელნიც ეროვნული „საქართველოს რესპუბლიკა“ და აგრეთვე „კავკაზი“, რომელიც ჯერ კიდევ რუსულ ენაზე გამოდიოდა, დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. მე შეეადგინე სია იმ პირთა, რომელიც ჩვენ მიწათ-მოქმედების მინისტრს და მის პატიეცემულ ამხანაგს მოუწყეუეთ აგრარულ რეფორმის გასატარებლად საქართველოში.

1. 25 ივნისიდან—იზრაილ გერშზონი, სამინისტროს მუხჭალტერი.

2. 23 ივლისიდან ივნატოვსკი—საიურისკონსულტო საქმის მწარმოებლად.

3. 1 აგვისტოდან სკიბაცკი, ცენტრალურ საადგილმამულო მმართველობის საღალო გადასახადების გამგედ.

4. 3 აგვისტოდან—ეგოროვი, სახელმწიფო მამულების მმართველი.

5. 19 აგვისტოდან კუპიროვი, რეგისტრატორი. მერმე რეგისტრატორები კი მოიპოვებიან საქართველოში და ამისთანა სპეციალისტები. (ეითხულობს).

6. აგვისტოდან—ყორლანოვი, აგრარურ რეფორმის განყოფილების საქმეთა მწარმოებელი.

7. 27 აგვისტოდან დაეეი და კრემენსკი—ტყის გამგეობაში.

8. 29 აგვისტოდან—კირალოვი კარგი—ტყეთა მიმღებ კომისის თავმჯდომარე

9. ნაუმოვი—ტეხნიკი.

10. 1 სექტემბრიდან ლუგოვი (ტფილისის სასამართლოს შტატ გარეშე დარჩენილი) სამინისტროს იურისკონსულტის თანაშემწე ნინეძის ალაგას (სიცილი).

საინტერესოა, რომ სწორედ ეს ყოფილა შტატს გარეშე დარჩენილი, რომელსაც იუსტიციის მინისტრმა მოახდინა რეორგანიზაცია, მერე აქ გადმოსულა და ისიც ქართველის ალაგას, ნინეძის ალაგს. ალბად ძალიან შემცდარან, რომ ასეთი სასარგებლო კაცი შტატს გარეშე დაუტოვებიათ.

11. სასნოვსკი—ბოტანიკი—ტფილისის მთავარ ბოტანიკურ ბაღისა. (ეითხულობს).

საერთოდ ამ ტყეებისათვის განსაკუთრებით საეირონი ყოფილან, უცხოელები.

არც ერთი ტყეების მიმღები კომისია არ არის, რომ თავმჯდომარე და ტეხნიკი არ იყოს უცხოელი, ალბად ამ ტყეებს განსაკუთრებული თვისება აქვთ. (სიცილი).

12. ზასლავსკი. ლორის ტყის გამგე.

13. იარომენკო სახელმწიფო გამგის განკარგულებაში.

14. ზაგტრეგერი—ვიცე-ინსპექტორა ტყეებისა.

15. ლებედევი—თელავის ტყეთა მიმღებ კომისიის თავმჯდომარე.

16. ლინდი, ტეხნიკი.

17. კოჩუბევი, ფოთის ტყეთა მიმღებ კომისიის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. 2 სექტემბრიდან—როსტოვცევი, სატყეო სატეხნიკო ნაწილის სპეციალისტად.

19. განენკო, იქვე.

20. მალერკინი, იქვე.

21. ჩურსინი, ლითონის წყაროების გამგე.

22. რუშინსკი, სანიბრე ნაწილის გამგე.

23. 5 სექტემბრიდან. იუზბაშევი—სატყეო გამგეობის საქმის მწარმოებელი.

24. თედოროვი—ტფილისის სახელმწიფო ტონებითა გამგის საქმის მწარმოებელი.

25. ჩერსკი, ბორჩალოს მაზრის კერძო მამულების ტყეთა მიმღებ კომისიის თავმჯდომარე.

26. ლოტოცევი, იქვე—ტეხნიკი.

27. შორინსკი, მთავარ სატყეო გამგეობის საქმის მწარმოებელი.

28. მედვედევი—მთავარ საადგილ-მამულო სამმართველოს სატყეო განყოფილების კონსულტატი.

29. 9 სექტემბრიდან შემოტი—სოხუმის ოლქის ყოფილი კერძო მფლობელობის ტყეების მიმღებ კომისიის თავმჯდომარე.

30. კრეზოვი, ამავე კომისიის ტეხნიკოსად.

31. 10 სექტემბრიდან. რეპინსკი მცხეთის და საგურამოს რაიონების ტყეთა მიმღებ კომისიის თავმჯდომარე.

32. რეკ—ამავე კომისიის ტეხნიკოსი.

33. ტვერდოხლებოვი—სიღნაღის რაიონის ტყეთა მიმღებ კომისიის თავმჯდომარე.

34. მიღოვი—ამავე კომისიის ტეხნიკოსი.

35. ლანკო—მარტყოფის რაიონის ტყეთა მიმღებ კომისიის თავმჯდომარის ამხანაგი.

36. ზეიდენბერგი—ამავე კომისიის ტეხნიკოსი.

37. 11 სექტემბრიდან გრიცენკო—ტფილისის რაიონის ტყეთა მიმღებ კომისიის თავმჯდომარე.

38. მანუჩაროვი—ტეხნიკოსი.

39. ბერნაცკი—ბასსუმნის რაიონის მიმღემ კომისიის თავმჯდომარე.

40. ლუკინი—ტეხნიკოსი.

41. პუზანოვი—დერბენთ მიწათა მთავარ-გამგეობის მდივანი.

42. 12 ენკენისთვიდან—კარაპეტიანი—დუშეთისა, ტფილისისა და ბორჩალოს სამაღნო წყაროების მიმღებ კომისიის გეოლოგად.

43. ვინოგრადოვი (ხმა: ეგ რომელი?)

რომელიც ერთმა სოციალ დემოკრატმა დაიჭირა ბორჯომში.

44. ნიკიტინი თელავისა, სიღნაღისა და თიანეთისა სამაღნო წყაროებისა და ტალახის გეოლოგიურად გამოსაკვლევად.

45, 14. ენკენისთვიდან, ნოხაპეტოვი მიწათა მთავარ გამგეობის საზღვართა განყოფილების საქმის მწარმოებლად.

46. პრიტჩინი, დუშეთისა, ტფილისისა და ბორჩალოს მაზრების სამაღნო ვითომ ლითონი სწერია, სამაღნო უნდა იყოს (ხმაურობა)

თავმჯდომარ. უმორჩილესად გთხოვთ დაუახლოვდეთ საგანს.

გ, ვეშაპელი. ეხლავე ბატონო, მე მინდა ამით ვსთქვა, თუ როგორ იქნება დაშზადებული სტატისტიკა ჩვენში, აქ არიან კიდევ სხვა პირნი: (კითხულობს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

47. ტრეტიაკოვი, თელავისა, სიღნაღისა და თიანეთის სამაზრო წყალობის მიმღებ კომისიის თავმჯდომარედ.

48. 16 ენკენისთვიდან, ივანოვი, გორისა და შორაპნის მაზრების სამკურნალო წყლების მიმღებ კომისიის თავმჯდომარედ.

49. სმირნოვი, იქვე გეოლოგად.

50. გრიცენკო, ტყეთა უფროს რევიზორად ტფილისის გუბერნიაში.

51. ზაკტრეგერი, ტყეთა უმცროს რევიზორად ტფილისის გუბერნიაში.

52. იუზბაშევი, ყარაიაზის ტყეთა 1 ხარისხის გამგედ.

53. იარომეკინი მეორე ხარისხის ტყის სამეთა გამგედ გორში.

52. სუკერნი—მეორე ხარის ხის ტყის სამეთა გამგედ თელავში.

53. ელისოფსკი საადგილ-მამულო მთავარ სამმართველოს საილაღო გადასახადთა განყოფილების გამგის თანაშემწედ.

54. ოვჩარი, იქვე მოანგარიშედ.

55. იზმაილოვი.

56. ვოსკო.

57. ბლეინიკოვი,

58. ბეოვარუნ,

59. ვასილიეფი სოჭის ოლქის საადგილ-მამულო კომიტეტის წევრებად.

60. 20 ენკენისთვიდან, აკერკინი „კარდანას"-ის მამულის მმართველად,

61. ბაიმატოვი ლანჩხუთის რაიონის სატყეო კომისიის ტეხნიკი.

62. ბაჯუკოვი—იქვე ტეხნიკოსად.

63. ბულინდინი—მარტყოფის რაიონის ტყეთა-მიმღებ კომისიის ტეხნიკოსად.

64. კუარინსკი—მეველე.

65. 30 სექტემბრიდან—ატყოვი და გრონინი მთავარ საიალაღო გადასახადთა განყოფილების გამგის თანაშემწე.

66. ოქტომბრის 2, შიმანოვსკი, საადგილ მამულო გამგეობის თავმჯდომარე.

67. 18 ოქტომბერი—რობუკი კანცელარიის საქმეთა მმართველის მთავარ თანაშემწის თანამდებობის მსრულებელი.

და უკანასკნელი პიროვნება, რომელიც, თუ შეიძლება ისე ითქვას რუსულად, თავს აძლევს, возглавляетъ, ეს გახლავთ ბ. ნ. დ. სოკოლოვი, რომელიც კარგად გეხსომებათ, როგორც გვაცნობეს გაზეთებმა, გამოსცა ბრძანება № 1. (არსენინე: ეგ არ არის მართალი!) ანდა მიიღო მონწილეობა მის გამოცემაში.

თავმჯდომარე. გთხოვთ არსებითად შეეხოთ საკითხს.

გ. ვეშაპელი. ჯერ არ ყოფილა ჩვენ პარლამენტში პრეცედენტი, რომ ორატორისთვის ეთხოვნოთ არსებითად შეხებოდა საკითხს.

თავმჯდომარე. გთხოვთ დაუახლოვდეთ საგანს, და ნუ მეკამეთებით მე როგორც თავმჯდომარეს.

გ. ვეშაპელი. ეხლა მთელ საოლქო, მთელ ოლქის, საქართველოს ტერიტორიის საადგილ-მამულო გამგეობის თავმჯდომარედ არის სოკოლოვი.

არ ვიცი რა სტაჟი მიუძღვის აგრალურ საქმეებში მას, როგორც გაზეთები ამბობენ, უფრო სამხედრო სტაჟი მიუძღვის, ყოველ შემთხვევაში, იმ მხრივ მაინც, რომ ფრონტზე იგი გალახეს სალდათებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლა ის არის თავმჯდომარე, ხელმძღვანელი საქართველოს ტერიტორიუ-ის საადგილ-მამულო გამგეობისა. ჯერ ჯერობით არ ვიცი რა კანონ-პროექტს შეიმუშავებს. ეს კი ვიცით, რომ ანანოვის მამულის ბედის გარდაწყვეტის დროს, შეიძლება მისი კონკურენტი თუ არა, სოკოლოვი იყო ანანოვის წარ-მომადგენელად სამინისტროში.

მაგრამ ეს კია, რომ არ შეიძლება ლაპარაკი იმაზედ, რომ სოკოლოვი ჩამ-ოვიდა ბორჯომიდან მარტო მთავრობის სანახავად, იგი მარტო ამისთვის არ ჩამოსულა. როგორც ამბობენ მას დავალებული აქვს, ზოგიერთ რუსების დიდ შემამულეების საქმეების მოგვარება, ერთგვარი კომპენსაციის მოიღებნ.

ჯერ არ ვიცით რა გაკეთა ისეთი ამ სოკოლოვმა, რომ საქართველოს სა-ხელმწიფოს ფონდის მიწების მთავარ ხელმძღვანელად, და ყველა იმის ხელმძ-ღვანელად. რაც შეეხება საადგილ-მამულო განყოფილებას, უნდა იყოს ნაფიც ვექილი ჩამოყვანილი რუსეთიდან. ჯერ-ჯერობით ის კი ვიცით, რომ გაკეთა ისეთი აგრარული ექსპერიმენტი, როგორც იყო, მაგალითად, ის, რომ თავის თა-ნამდებობით გაანთავისუფლა სიხუშში აჯანყებულები, როგორც მაგალითად დემიანოვი.

შემდეგ უცბად გახდა შუამავალი ჩვენ მთავრობის მინისტრების და და-ტუსალებულ ბალშევიკების მორის მიუხედავთ ეროვნებისა და წლოვანებისა, ასე რომ იმედი უნდა გვქონდეს, თუ ასე გაგრძელდა აგრარული ინსტრუქტო-რობა სოკოლოვისა, იგი ალბად ერთ ორს დატუსალებულს კიდევ გამოიყვანს თავის კისერზე ციხიდან.

მე, როგორც პარლამენტის წევრს, შემიძლო მეთქვა, რომ როდესაც ასეთ დიდ ელემენტებს აქვთ დატოვებული მიწათ-მოქმედების სამინისტრო, როდე-საც ხდება უკუღმართი ორგანიზაცია, უკუღმართი მოქმედება ამ სამინისტ-როში, როდესაც აუარებელი არა ქართველი ქვეშევრდომი არ მცოდნე საქარ-თველოს პირობებისა ინიშნება ამ სამინისტროში და ეს ხდება იმ დროს, რო-დესაც სხვები ზრუნავენ ასეთ ბალსტის თავიდან მოშორებას,—ასეთ სამინი-სტროს, ყოველ შემთხვევაში არ შეუძლიან დაამზადოს საქართველოს პირობე-ბის შესაფერი სტატისტიკა, თუნდაც ამისთვის მეტი ფულიც დახარჯოს, ვიდრე ეხლა იხარჯება.

მე მგონი, რომ ამ ფაქტს, ამ დეკრეტს კვლავ ბრძანების ხასიათი ექნება, მაგრამ ცხოვრების პირობები კი არ ექნება ნავარაუდევი.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის მთავრობის წარმომადგენელს.

მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგი **პეტრე გელეშვილი.** ბ. ვეშაპელმა სულ სხვა სფეროში გადიტანა თავისი სიტყვა.

მე მგონია, რომ ეს ისეთი უბრალო საგანია და სტატისტიკის მნიშვნე-ლობა ყველასთვის ისე ცხადია, რომ თუ ეს საკითხიც კამათს გამოიწვევდა,— არ მეგონა.

ბ. ვეშაპელმა რეორგანიზაციას ნაციონალისტური საკითხი დაუკავშირა, ისარგებლა ამ შემთხვევით და დასკვნა გამოიყვანა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის სამინისტრო, რომელიც სხვა და სხვა ერების წარმომადგენლებს ასე მრავალ ადგილს ვერ შეადგენს შესაფერ სტატისტიკას საქართველოსო.

ჩვენ აქ მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახელით უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი სამინისტრო არ შეადგენს გამონაკლისს. მთელი მთავრობა იმ აზ-რისაა, რომ უნდა ხალხს და ერს ჰქონდეს თავისი ენა, და საქმე უნდა სწარმო-ებდეს მის ენაზე. მაგრამ, არის ერთი დიდი „მაგრამ“. ეს „მაგრამ“ იმაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობს, რომ ჩვენ სამწუხაროდ, ამ საქმეში, როგორც ყოველ სხვა დარგში, ვერ ვართ სათანადოდ მომზადებულნი და სათანადო ხალხს ვერ ეპოულობთ.

წარსულსა რუსეთში, თავის ბატონობის დროს, მარტო ითი კი არ დაგვსაჯა, რომ ჩვენ საუკეთესო შვილებს კატორგაში ალპობდა, და სიხარჩოლაზე აპაყავდა, იმან დაგვსაჯა ითითაც. რომ არ მოგვეცა ის აპარატი, რომელსაც რუსულათ „земство“ ჰქვიან, და რომელიც ჰქმნის მისამე ელემენტს, მისამ,— მუშათა ელემენტს, ფურილისოდ ვერავითარ დაწესებულებას ვერ შეუქმიან ითმქმედოს.

ხშირად, აი ეხლაც ამ წუთს, როდესაც ვასრულებთ ჩვენ მოვალეობას, როდესაც ცხოვრებამ დამაყენა ამ გვარ მდგომარეობაში, მე ხშირად, ყოველ დღე თითქმის, მაქვს ლაპარაკი ჩვენ ახალგაზდობასთან. მოდის ჩემთან ქართველი ქალი, რომელსაც აქვს გათავებულ უმაღლესი სასწავლებელი, მოაქვს თხოვნა ქართულად დაწერილი, იცის რომ მიწად-მოქმედების სამინისტროში უნდა მოხდეს ნაციონალიზაცია. ეკითხები: „ქართული იცით“.

გაწითლდება და მეტყვის: „კი, მეკოდინება“.

„ჰო, და“ როდესაც გეკოდინებათ, მაშინ საპასუხის მგებლო საქმეს მოგცემთ.

არ შეიძლება, რომ ქართველ ქალმა რუსული იცოდეს უფრო კარგად ვიდრე რუსმა, და მაშასადამე, ითმთ, ვინც ადგილზე არიან, ადგილიდან ვერ დავითხოვთ, ითმისთვის რომ ითათ საქმე კარგათ იციან, და ვერ დავითხოვ ამ ქალებისათვის, რომლებმაც არც ქართული იციან, და არც რუსული. ეს მე მიმაჩნია საბელმწიფოებრივ თვალსაზრისით მიუღებლათ.

აქ ჩამოთვლილი იყო, სხვათა შორის, რამდენიმე გვარი ვეშაპლის მიერ. ჩამოთვლილი იყო რამდენიმე ათეული გვარი. და ჩვენ სამინისტროში კი გვყავს რამდენიმე ასეული კაცი. ეს მოსამსახურენი თითქმის ყველანი იყვნენ ამ სამინისტროში. ეხლა არ არიან დაქირავებულნი, ეხლა ხდება გადაჯგუფება, ერთ უფრო ნაკლებ საპასუხისმგებლო ადგილზე, ან და დროებითა ადგილებზე გადაყვანა.

ბ. ვეშაპელს, რომ ერთი წლის წინად შეედგინა სტატისტიკა, მაშინ რამდენიმე ათეულ გვარს კი არა,—ასეულ გვარს მოიყვანდა.

გარდა ამისა ვეტყვით, რომ ზოგ-ზოგი გვარები, რომლებიც მან დაგვასახელა,—ეგოროვი. გერშენზონი, სკიბიცკი და სხვები... არც ისე ხელმწამსაკარავი არიან. შეიძლიან მოგახსენოთ, მაგ. გერშენზონის შესახებ, რომელიც ძალიან ბევრი უსიამოვნება მიაყენა ბ. ვეშაპელს. გაზეთებში იყო დაწერილი წერილი. სათაური იყო შემდეგი: „Какъ Петръ Телейшвили проводитъ національзацію“. მოყვანილი იყო, რომშე დავითხოვე ქართველი ბუჰგალტერი. საქმე შემდეგშია: ბუჰგალტერის საქმე ისეთი გახლავთ, რომ მცოდნე ბუჰგალტერს ძალიან ხშირად ვერ ვიშოვთ. მე დამხვდა ჩვენ სამინისტროში ისეთი ბუჰგალტერის წწარმოებელი, რომ რახატლუკუმს რომ აკეთებენ სპარსელები, ითათაც უფრო კარგათ ეკნებათ მოწყობილი ბუჰგალტერია, ვიდრე მე დამხვდა. როდესაც მე შევედი სამინისტროში იქ დამხვდა ბუჰგალტრად ისეთი კაცი, რომელსაც არაფელი არ გაგებოდა ბუჰგალტერიაში. ჩვენ დავფიქრეთ ძალნი. ეხ თქმა უნდა, ჩვენ რომ მოგვენახა ისეთი ქართველი, რომელმაც შესაფერისად სცოდნოდა ბუჰგალტერია, ჩვენ ხელს არ ვკრავდით, ჩვენ უნდა დავგიჯეროთ. ქართველების წინააღმდეგ ჩვენ რატომ წავიდოდით? რომ ჩვენი სამინისტრო არ შეადგენს გამონაკლისს სხვა სამინისტროდან, რომ ჩვენ უნდა უეჭველთ გვყავნდეს ქართველი ბუჰალტერი,—ეს ჩვენც კარგად ვიცით, მაგრამ რა უყოთ, როცა ვერ ვიშოვეთ ქართველი კაცი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთან მოვიდა ებრაელი, რომელმაც მიიღო უმაღლესი განათლება, გაა-თავა ჩვენებური სკოლა, გარდა იმისა, გაათავა ის სპეციალური სასწავლებელი, სადაც ასწავლიან სპეციალურ დარგებს და მუშაობენ ტერიას; მოვიდა ეს კაცი და განა მე ხელი უნდა მიკრა მისთვის? განა საქმე უნდა ჩამეფუშა? მეც ავიჭიქი და მივიღე. ამას მოითხოვდა არა ნაციონალური ინტერესი, არამედ, უფრო დიდი ინტერესი, სახელმწიფოს ინტერესი. ეს ასე იყო. ჩვენ ის დავნიშნეთ.

ეხლა, მე მოგახსენებთ ეგოროვის შესახებ.

ეგოროვს მთელი რუსეთი იცნობს, საუკეთესო დეკუ.ტატორია. მართლა მოგახსენოთ ეგოროვისთანა 2—3 არ მოიპოვება რუსეთში. ეგოროვი კი არ მოგვიწვევია, დაგვიხვდა. იგი იყო ღვინის სარდაფში გამგე. ჩვენ გვაქვს რამდენიმე 100 მილიონის ღვინო. ყველა ღვინის ღირებულობას აძლევს. ვინ უნდა მოგვეწვია იქ? ბ. რეგვ გამაშვილი? უკაცრავათ, ბ. ვეშაპელი? ისინი ვერ გამოიჩენდნენ იმდენ უნარს, როგორც ეგოროვი. ეგოროვს, რომ მოეთხოვა ხელ ფასის მომატება, უეჭველია მოუმატებდათ, და ვთხოვდით, რომ დარჩენილიყო.

ბ. ვეშაპელმა დაასახელა აგრეთვე მედვედევი. მე მგონია, რომ ყველა ვინაც საქართველოს ბედი აინტერესებს, ვისაც კი, რასაკვირველია, საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში რამე გიგიგია, ის სირცხვილად ჩასთვლის იმ გაცხადებას, რომელიც გაკეთა ამ ტრიბუნიდან ვეშაპელმა. ალბად არ სცოდნია მას, რომ ეს ის მოხუცი მედვედევია, რომელსაც აქვს დიდი ნაშრომი.

არიან პარლამენტის წევრები, რომლებმაც ჩინებულად იციან, და დამოშოწმობენ, რომ არის ჩინებული შრომა მედვედევისა, რომლის მზგავსი ძნელი სანახავია. არამც თუ ჩვენში, საქართველოში, არამედ რუსეთშიაც კი.

საქართველოში არავის არ შეუსწავლია მიწის საკითხი ისე, როგორც მედვედევს. მე ურჩევ ბ. ვეშაპელს, სანამ მედვედევის გვარს დაასახელებს, მედვედევის ნაშრომს გაეცნოს, და მაშინ საქართველოს პარლამენტის უფრო უკეთესი, უფრო სასარგებლო წევრი იქნება, ვიდრე დღემდის (ვეშაპელი: სოკოლოვი?)

ჩემი დაცვა არ ესაპირობა სოკოლოვს. მისი გვარი და წარსული ამტკიცებს იმის კარგკაცობას. ვიმეორებ, ჩემი დაცვა იმას არ ესაპირობა.

რაც შეეხება, რასაკვირველია, პრინციპიალურად კითხვას ნაციონალიზაციის შესახებ, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მოსამსახურენი უკვე დაგვიხვდნენ, გარდა გერშენზონისა, და ერთი ორი კაცის, რომელნიც უნიკუმები არიან, და არ შეგვეძლო ისინი არ მიგვეღო. არც ერთ სამინისტროში ასეთი ნაციონალისტები არ გამოცხადებულა. ეს მოწვეულნი პირნი ისეთი საპირო პირნი არიან, რომლის მსგავსებას ვერ იშოვით, რა ნაციასაც არ უნდა ეკუთვნოდეთ სულ ერთია.

რაც შეეხება თვით სტატისტიკას, მე არ ვიცი, რა დამოკიდებულება აქვს ამ ნაციონალიზაციას. უნდა ვანუგეშოთ ბ. ვეშაპელი, ეს შტატები თითქმის ყველა პარტიებმა ერთხმად მიიღეს. აქ იყრის თავს ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა ქართველი ქალები და სტუდენტები.

ჩვენ და სამწუხაროდ, ჩვენნი სამინისტრო მეტად გრძნობს საპირობას მომზადებულ ქართველ ახალგაზდობაში. ჩვენ გვაქვს ისეთი დარგები სტატისტიკის, რომელიც მოითხოვს სოფლებში მუშაობას. მერე ვინ უნდა გავგზავნოთ სოფლებში? რომ ვიფიქროთ, მართლაც ხომერიკ და ველეშვილს ქართველი არავინ უნდათ, როგორც ვეშაპელი ამბობს, თითონ ფაქტი, თითონ ცხოვრება ხომ გვიკარნახებს, რომ უნდა გავგზავნოთ ქართველი, მაგრამ ჩვენ ახალგაზდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში მცოდნე არავინ არის. ჩვენ თუმცა უყრით თავს მოსწავლე ახალგაზდობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელმძღვანელის როლში ვერ გამოვიყვანთ, ერთი და ორი შეიძლება დავასახელოთ, რომ ხელმძღვანელობის როლი იკისროს.

სტატისტიკაზე, სტატისტიკურ გამოკვლევებზე საზოგადოდ, არსად ისე ბევრს არ ლაპარაკობენ, როგორც ჩვენში. მაგრამ, ჩვენსავით მოუზადებელი ამ დარგში, არც ერთი კუთხე არ მოიპოვება რუსეთში. ჩვენ, რასაკვირველია, ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ, იმასაც, ვისაც დიპლომი აქვს, დაუჭერია ეგზამენი და მიუღია ამაში, ამ საგაში იმასაც კი ძალიან ნაკლები წარმოდგენა აქვს. ასე რომ ხელმძღვანელ როლისთვის ჩვენ არავინ არ გვყავს.

ასეთები ჯერ ოქნებიან რუსები, სომხები, ისრაელები ტ არა ქართველები.

მაგრამ, ჩვენ, რასაკვირველია, თითონ ცხოვრება გვიკარნახებს, რომ საჭიროა უმაღლეს სასწავლებელში ორივე სქესის ასალგაზდობამ მოიყაროს თავი და შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ გამოგდნენ ხელმძღვანელებადაც.

ეს არსებითად დღევანდელ საგანს არ შეეხება. მაგრამ, ვსარგებლობ შემთხვევით, რომ ის გვარები, რომელნიც არიან ჩამოთვლილი, უმეტესი ნაწილი მაიში ჩვენ დაგვიხდენენ და მათ ასე უმიზეზოდ ვერ დავითხოვდით.

ბევრი დავითხოვეთ, იმიტომ რომ მთელ ამიერ-კავკასიისთვის იყვნენ, კავკასიის აქით მხრისთვის. ამიტომ შევამოკლეთ ის, რაც შეიძლებოდა და რასაც მოითხოვდა საქმის ინტერესი. მაგრამ თან და თანმხით. მივიღეთ ქართველებიც, მივიღეთ აქაური მცხოვრებიც და რასაკვირველია, აქაურ ერების წარმომადგენლებიც. მაგრამ, მივიღეთ იმისთვის კი არა, რომ ეს იყო სომეხი, ან რუსი. მივიღეთ იმისთვის, რომ აუცილებლად ის უკეთესი მუშა იყო.

ჩვენც გვაქვს ასეთი გგეშა. ამას თან და თანრბით ჩვენც გავატარებთ, მაგრამ, ერთი ხელის მოსმით შეიძლება მხოლოდ სიტყვის დაწერა, მაგრამ, საქმე არ შეიძლება გაკეთდეს, არ შეიძლება პირობა მოგცეთ, რომ ერთი ხელის დასმით გავაკეთებთ ამას. ერთ წუთში ჩვენ ყველაფერს ვერ გავაქართველებთ. ეს იქნება დაღუპვა ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესების და ამ დაღუპვაში ჩვენ მონაწილეობას ვერ მივიღებთ.

თავმჯდომარე. პარლამენტის წევრი ღლონტი.

თედო ღლონტი. (ს.-ფ.) სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციამ ეს კანონ-პროექტი როდესაც განხილა თავის სხდომაზე, მას მხარი დაუჭირა მხოლოდ შემდეგი მოსაზრებით, და ეს შემდეგი მოსაზრება იყო უმთავრესი მოსაზრება: რადგანაც კანონი მიწების ჩამომთვლის შესახებ უკვე მიღებულია, მიწათ-მოქმედების სამინისტროს დიდი მუშაობა აქვს,—აგრარული საკითხი დიდი საკითხია, გართულებული საკითხი არის ჩვენ ცხოვრებაში. ამიტომ, ამ სამინისტროსთვის, ამ საქმის გასაკეთებლად ნურავითარ სახსარს ნუ დავიშურებთ.

ჩვენ ვიცით ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა, და იმიტომ, რომ საქმე გაკეთდეს ჩვენ ფრაქციას საჭიროდ მიაჩნია თავისი აზრი გამოსთქვას შენიშვნის სახით.

რაც შეეხება კანონ-პროექტის უმთავრეს შინაარსს, ჩვენი შეხედულება ამ საგანზე შემდეგში გამოიხატება: ჩვენ გვინდა, რომ ამ საქმეში საფუძვლათ იყოს გულწრფელი, საქმის სიყვარულით გამსჭვალული მუშაობა.

ინგლისში, როდესაც პარლამენტმა აირჩია სხვა და სხვა კომისიები, ჩვენ შევქმენით აგრარული კომისიაც. როდესაც ჩვენ მოვიწვიეთ ამ უწყების, მიწის მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი, ჩვენ მაშინათვე დაგვჭირდა სხვა და სხვა ცნობები მიწის საკითხის შესახებ. მაშინ უწყების წარმომადგენელმა **განაცხადა**, ეს აგრარულ კომისიის ყველა წევრმა იცის,—მაშინ **განაცხადა** პა-

ტივცემულმა ბ. ხომერიკმა, რომ ასეთ ცნობებს მოგვცემდა 10 დღის განმავლობაში, რადგანაც ჩვენ დაახლოებული ვიყავით ამ საკითხთან ეჭვი გამოვსთქვით. ჩვენ ვიცოდით, რომ ძალიან სასურველი იყო ცნობის მიღება, მაგრამ 10 დღის განმავლობაში კი არა, 1—2 თვის განმავლობაში რომ მივეღეთ ეს ცნობები,— უდიდესი დამსახურება იქნება იმ კომიტეტის და იმ ორგანოს, რომელნიც ამ საქმეში მუშაობდნენ.

გავიდა არა 1—2 თვე, და გამაოცდა ის, რასაც ჩვენ ვამბობდით კომისიაში. მაგრამ ამას ვამბობდით არა მარტო ჩვენ, თვით სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელნი ამბობდნენ, რომ შეიძლება ჩვენი მიზანი, და ინტერესი ამ უწყებამ ისე ვერ შეასრულოს, როგორც ჩვენ გვინდა, და გვაინტერესებს, თუმცა აქ აღნიშნული იყო, რომ მაშინაც სათაევში იდგა ცნობილი მუშა სტატისტიკის დარგში.

რამდენიმე თვის შემდეგ სწორედ გამართულა კომისიის წევრების ჩივილი და აზრი, რომ ბოლოს მოვა ამ უწყების წარმომადგენელი, და იტყვის, რომ ის მასალა, რომელსაც თქვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ და რომელნიც მე უნდა წარმომედგინა, ის მასალა სწორე არ გამოდგა. წარმოიდგინეთ ერთ სხდომაზე, აგრარულ კომისიის სხდომაზე, როდესაც გვინდოდა, როდესაც ჩვენ მოვთხოვეთ ძირითად საკითხისთვის, აგრარულ რეფორმისთვის საჭირო ცნობები, გამოგვიცხადეს, რომ ზოგი ერთ ცნობებს კი მოგვცემენ, მაგრამ მთავარ ცნობებს ვერ მოგვცემენ. ვერ მოგვცემენ იმიტომ, რომ თვითონ ის მასალები, რომელიც მათ უნდა გადაესინჯათ და შეეშუშავებინთ, არ იყო სწორი და სინამდვილეს არ შეეფერებოდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ სტატისტიკა თითონ ისეთი საქმეა, რომელსაც შეიძლება დიდი კრიტიკა გაუკეთდეს და აუარებელი შეცდომები და დანაკლისი აღინიშნოს. და რომ ასეთ ნაკლულოვანებას ასეცდეს სტატისტიკა, ამისთვის საჭიროა მეტი დრო, საჭიროა ხელასლად შემუშავება. ასე რომ, ფორმალურად სწორე იქნება იმ კაცის განცხადება, ვინც ამ საქმეს განაგებს, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ძირითად გამოვარკვიოთ და გადავწყვიტოთ ამ ჟამთა ეს კანონ-პროექტი, როგორც ეს მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგმა ბ. გელეიშვილმაც გადმოგვცა.

თვით ეს კანონ-პროექტი საფინანსო უწყებაში ყოფილა, და კი ხანი გადმოცემულია, თუ არ ვცდები, მე მგონია ივლისში (ხმა: არა.), კი ხანი გადმოცემული არის. ჩვენ კი გვინტერესებდა, აგრარულ კომისიისთვის, რასაკვირველია, საინტერესო იყო, რომ გადმოსცემოდა ეს კანონ-პროექტი, მაგრამ აგრარულ კომისიას ეს კანონ-პროექტი მიღებული არ ჰქონდა, თუმცა ბ. გელეიშვილმა გამოაცხადა, რომ ეს კანონ პროექტი უნდა მოსულიყო აგრარულ კომისიაშიო. მაგრამ, ამ ჟამათ, ჩვენ ვიცით, როგორც აგრარულ კომისიის წევრმა, კერძოთ მე ვიცი, რომ აგრარულ რეფორმის ძირითადი კანონ-პროექტი თითქმის შემუშავებულია, და წარმოდგენილი მთავრობაში. ისე, რომ ჩვენ გამოვსთქვამთ აზრს, რომ ეს ძირითადი კანონ-პროექტი შემოვა, ყოველ შემთხვევაში, კომისიაში 10—15 დღის განმავლობაში.

სათაური ამ კანონ-პროექტისა შემდეგია: (კითხულობს) კანონ-პროექტი აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ სტატისტიკის შედგენისა. მაშასადამე, ეს ეხება სწორედ იმ ძირითად საკითხს, რომელიც ჯერ დასმულია მთავრობისაგან, და თუ კი ეს არის, მე არ ვიცი, ამ დიდ მუშაობისთვის, როგორ შეიძლებოდა სტატისტიკურ ცნობების შედგენის დაგვიანება?

თვიეის თავად.—ამ მუშაობას დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით უფრო, აგრარულ რეფორმის ძირითად შემუშავების დროს. ჩვენი ფრაქციაც, რა თქმა უნდა, მხარს დაუჭერს. მაგრამ ამას, ჩემის აზრით არ შეიძლება პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდეს. ამიტომ, კარგი იქნებოდა, რომ ამის მეთაურებს ეს საქმე გაეკეთებინოთ, მე არ ვიტყვი 1 თვის განმავლობაში,—3—4 თვის განმავლობაში მაინც. ჩვენ არ შეუშლით მიწად-მოქმედების მინისტრს ხელს, ამ კანონ-პროექტს დავადასტურებთ, მაგრამ თუ კი ამას მოუცადეთ, მაშინ, ძირითადს, აგრარულ რეფორმისთვის შემუშავებულ კანონ-პროექტს ვერ ვიხილავთ. თუ კი დღეკანდელ მდგომარეობაში არ იყო შემუშავებული მიწად-მოქმედების სამინისტროს მიერ სტატისტიკა, მე თქვენ გეტყვი,—დაშფუძნებელ კრებას მოვიწვევთ, მაგრამ ისეთივე მდგომარეობაში ვიქნებით, როგორც ეხლა ვართ. არც მაშინ გვექნება ის სტატისტიკური ცნობები, რომელიც საჭირო არის, ამ საკითხისთვის.

მე უნთა ვსთქვა, სწორედ ამ საკითხისთვის, რომელიც ხაზ გასმით იყო აღნიშნული ბ. ვეშაპელის მიერ და რომელიც შეეხება ნაციონალიზაციას.

ეს ნაციონალიზაცია ამ უფყებისთვის, მე მგონია, მიუცილებელი საჭიროება არის. მართალია, ბ. ვეშაპელი, როცა ბრძანებს, რომ ჩვენ არ გვყავს არა თუ ამ დარგში, მთელ რიგ დარგებში, მიჩვეული, გაწრთვნილი სპეციალისტები, მაგრამ განა თვით მიწათ-მოქმედების უწყებაში, ან და თვით იმ ადგილებზე, მდგომი პირნი, რომელნიც ყველაფერს სწვავენ და რომელთა გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული მთელი ჩვენი ცხოვრება, ყველანი მომზადებულნი არიან? განა ყველას გაუვლია ის სტაჟი, რომელიც საჭიროა?

მე დარწმუნებული ვარ, თვით ბ. გელეიშვილისათვის, რომ 1916 წ. გვეძმა: „თქვენ პირნათლად შეასრულებთ მიწათ-მოქმედების მინისტრის ამბანაგის მოვალეობას",—აშკარაა, ის გვეტყოდა: „ეგ გამიჭირდება"-ო, მაგრამ, თუ ჩვენ ჩავაბარეთ იმას ის, იმიტომ, რომ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით მის გულრწყვილობაში, რომ მას აქვს სიყვარული საქმისა. საქმე იმაში არის, რომ მარტო მოვალეობისთვის კი არ არის საჭირო საქმის მცოდნე ხალხი, საქმე იმაშია რომ საქმის სიყვარული ჰქონდეს და შემდეგ, მოვალეობის შეგნება.

საქმე ცოდნაში კი არ არის, საქმე იმაში არის, თუ ეს მცოდნე ხალხი, ჩვენ რანაირად გვემსახურება.

ჩვენ დარწმუნებული ვარო, რომ ამ ხალხის შორის არიან ისეთი ძალები, რომელთა ცოდნა ჩვენ გამოგვადგება, ამის უარყოფა არ დასჭირდება თითონ ვეშაპელსაც. მაგრამ მე ვიტყვი, რომ ბევრნი იქნებიან ისეთნიც, რომლებიც სარგებლობას ვერ მოგვცემენ (ვეშაპელი: ძალიან ბევრნი!) და თუ გავითვალისწინებთ ამ სტატისტიკას, მე ვეტყვიო, ჯერ-ჯერობით, რაც ჩვენ ვსთქვით პესიმისტური, ჯერ-ჯერობით ეს გამართლდა. მე იმას ვიტყვი, თვით ბ. გელეიშვილსაც უმუშავნია სხვა და სხვა უწყებებში, მაგრამ წარმოიდგინეთ, მან, რომ მეტი დროც იშოვოს და ამ დიდ საქმეს საფავეში ჩაუდგეს, ისიც ვერ შეასრულებს თავის მოვალეობას და ამ საკითხს ვერ გადასჭრის.

თუ კარგად ეკი გადასჭრით სტატისტიკის საკითხს, თქვენ ვერ გადასჭრით ამ ძირითად აგრარულ საკითხსაც. თუ არ იცით, როგორ არის დანაწილებული მიწა ბოლშევიკების შორის.

ჯერ-ჯერობით ვერც ვერავინ იტყვის, რომ აგრარული საკითხის დიდა ძარღვი, გადაჭრილი იყოს.

როგორ არის განაწილებული მიწები, რა ღირსების მიწები არის, როგორი ტყეები არის;—ეს საკითხები ჯერ-ჯერობით, ხელუხლებელია. მისთვის საჭიროა, მაშასადამე, რომ თავისი დანიშნულება შეასრულოს ბ. ხომერიკმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელეიშვილმა, საჭიროა, რომ ეს საქმე შოგვარდეს, საჭიროა ეს აუცილებლად.

რაკი ეს ასეა ამ სამინისტროს მართვაში, თუ კი სხვაგან ვერ იშოვის საჭირო ძალებს, თითონ როგორმე ჩაუდგეს სათავეში ამ საქმეს, შემდეგ ისინი თითონ გიტყვიან, როგორი ინსტრუქტორები ეყოლებათ, რომ ყოველ შემთხვევაში მათ დავეყრდნოთ, მაგრამ ისინი, როგორც დასაყრდნობი ძალა, ვიმეორებ, არ იქნებიან ჩვენთვის სასარგებლნი.

გარდა იმისა, ჩვენმა ფრაქციამ კიდევ მსჯელობა იქონია საზოგადოდ ამ საკითხის შესახებ. ეხლა ისეთ მდგომარეობაში ვართ, როგორც თვით ბ. გელეიშვილმაც აღნიშნა, რომ ყოველად შეუძლებელია სტატისტიკის საქმე ასეთ მდგომარეობაში დაეტოვოთ.

მე მოგახსენებთ, ჩვენ არავითარი სტატისტიკა დღეს არ გვაქვს. ხშირად თა ვრობის თავმჯდომარე გამოდის და ამბობს: „ამდენი გაგვაქვს უცხოეთში, ამდენი შემოგვაქვს“ და სხვა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ერთ დღეს დავამტკიცებთ პარლამენტის წინაშე, რომ არავითარი სერიოზული შრომა არ გაგაწარია, რომ ვიცოდეთ რა აღებ-მიცემა გვაქვს, რა გაგვაქვს და რა შემოგვაქვს, როგორი არის სისტემა მეურნეობისა,— ეს არაფერი არ გვაქვს მოგვარებული. თუ არ ვიმუშაეებთ, ვერაკითარ მასალას მიწათ-მოქმედების სამინისტრო ვერ მოგვაწოდებს, თუ სტატისტიკა მოუგვარებელია. ეხლა მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგმა განაცხადა, თუ რას ნიშნავს სტატისტიკის მოწყობა.

მე თქვენ გიტყვით, რომ ასეთ მდგომარეობას განიცდის ფინანსთა უწყება, ასეთ მდგომარეობას განიცდის საგარეო უწყება და სხვა ყველა უწყებები. ფ-აქციების წარმომადგენლებმა სთქვეს, საჭიროა არა მარტო ისეთ სეპარატიულ სტატისტიკის ორგანოს დაარსება, არამედ საჭიროა მთავარ სტატისტიკურ ორგანოს დაარსება საქართველოში.

ჯერ კიდევ ამერ-კავკასიის კომისარიატის დროს, ეს კარგად იცის ბ. ხომერიკმა და მისმა ამხანაგმა გელეიშვილმა, მაშინ შტოკმანი იყო სათავეში სასურსათო უწყებისა, და სასურსათო უწყება შეუდგა სამზადისს სტატისტიკური ორგანოს დაარსების შესახებ ამერ-კავკასიის ფარგლებში.

ჩვენ შეგვიძლიან გამოვსთქვათ სურვილი საქართველოში ცენტრალური სტატისტიკურ ორგანოს დაარსების შესახებ. ხელმეორედ ვიმეორებ იმას, რაც ჩემის აზრით, იქნება ყველა ფრაქციის მიერ მიღებული, რომ ამ საკითხს უნდა სერიოზული ყურადღება მიაქციოთ და არ დავიშურნოთ არავითარი სახსარი, ამ საკითხის მოსაგვარებლად.

და დასასრულს მე მოგახსენებთ, ჩვენ ვიცით, რომ თვით ეს, მიწათ-მოქმედების უწყება გამონაკლის არ შეადგენს. მასაც მიზნად აქვს დასახული მოახდინოს ხაკითნალიზაცია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ იმ ტემპით, რა ტემპითაც ეს საჭირო არის, და როგორც ხდება სხვა უწყებებში, ასეთ ტემპით ნაციონალიზაციის გატარება ამ უწყებაში არ სჩანს.

მე უყურებ მიწათ-მოქმედების სამინისტროს, რომ ამ მხრივ ტემპი შეიცვალოს და ამ დარგში მეტი ენერგია, მეტი ქართული ენერგია შეიტანოს.

თავმჯდომარე. პარლამენტის წევრი კირილე ნინიძე.

კირილე ნინიძე. (ს.-დ.) ბ. ღლონტმა კითხვა სწორედ დააყენა: არის საჭირო თუ არა, რომ არსებობდეს სტატისტიკის მუდმივი ორგანო.

ამ ორგანოს დაარსება საჭიროა და ამის წინააღმდეგ არავინ არ დავობს. ამის წინააღმდეგ არავინ არ დავობს, მაგრამ ეს ამ კითხვას არ ეხება.

თუ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ეს წარმოდგენილი კანონ-პროექტი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის საქირო, ესე იგი, ეს სარგებლობას არ მოგვიტანს, ან ხელს შეუშლის იმ ზედმიწ ორგანოს,—რომელიც უნდა დაარსდეს. თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ ეს კანონ-პროექტი შაშინ უნდა უარეყოთ.

მაგრამ, ბ. ლონტი ესე არ სვამს საკითხს. თავში მართლად სვამს, მაგრამ, ბოლოს სწყვეტს სრულიად შემცდარად. და აი, ეს მოსაზრება მოჰყავს, თითქოს კეთილშეზობლურ განწყობილებისთვის,—„ჩვენ არ გვინდა ხელი შეუშალოთ მთავრობასო“ და ამისთვის ამ კანონ-პროექტს მივიღებთო. მაგრამ აქ გაუგებარი რჩება: როგორი არის ამ ფრაქციის „აზრით ეს კანონ-პროექტი, სასარგებლოა, თუ მავნე.

პირადათ მე ვფიქრობ, რომ ასე კითხვის გადაწყვეტა შეუძლებელია. ჩვენ ვერ დაესვამდით ასე საკითხს, და ვერ ვიტყოდით, რომ მთავრობას არ გაუძნელოთ საქმე, იმიტომ ვღებულობთო. აქ სახელმწიფოებრივი საქმის კითხვა არის, და არა იმის, რომ მთავრობას გაუძნელდება თუ არა. და თუ მთავრობას ეს ფული, სჭირდება სახელმწიფოს საქმისთვის, თავის თავად ცხადია, ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, ანდა უნდა უარეყოთ. ასე რომ, მე პირადად მგონია, რომ კითხვის დასმა ასე არ შეიძლება.

რაც შეეხება ბ. ვეშაპელის გამოსვლას, მას ბევრი შრომა გაუწევია, როგორც ეტყობა. მაგრამ, ჩემთვის ერთი რამ გაუგებარი დარჩა. საერთოდ მიღებული, რომ ეროვნულ-დემოკრატები გულახდილად მოქმედობენ, და ამბობენ პარლამენტში იმას, რაც სურთ. დღეს ვეშაპელი ასე არ მოიქცა. მან სულ სხვა ნიადაგზე გადაატანა მაჯელობა და კამათი, და არ სთქვა ის, რასაც ხშირათ ამბობს გაზეთ „კლდეში“, რომელიც არის დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის გაზეთი. ეს გაზეთი ამ ბოლო დროს, ხაზგასმით აღიარებს, რომ დიდი დანაშაულობა ჩავიდინეთ, რომ მემამულეებს მიწები ჩამოვართვითო, და ამაზე ლაპარაკობს მემამულეების ინტერესით. მე მგონია, ეს გულწრფელობა საჭირო იყო ბ. ვეშაპელს ტრიბუნუდან გამოეჩინა, და ეთქვა, რომ ის ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგი არის, რადგანაც ის წინააღმდეგი არის აგრარულ საკითხის გადაჭრისა. (ვეშაპელი: ტყუილია.) აი ასე, რომ დაესვა საკითხი, მაშინ, მე მგონია, არ დავკარგავდით იმდენ დროს, რაც დავკარგეთ იმ სტატისტიკაზე, რომელიც აქ წაიკითხა, და რომელსაც არაფერი დამოკიდებულობა არ აქვს არც მიწის საკითხთან, არც იმასთან, თუ სოკოლოვმა 1 № პრიკაზი შეადგინა თუ არა. ამას ამ საკითხთან არავითარი დამოკიდებულობა არ აქვს. უმთავრესად აქ არის საკითხი, სურთ თუ არა დამოუკიდებელ ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის წარმომადგენლებს ამ საკითხის ასე თუ ისე გადაჭრა? (ვეშაპელი: როგორ?) როგორც მე მოგახსენეთ.

ბატონებო! მეც არ ვეთანხმები სრულიად ბ. ვეშაპელის ამ მეცნიერულ მოსაზრებას, რომელიც ამბობს, რომ ეხლა ის კანონი მიწების დარიგების კანონი მხად არის, და იმიტომ არც სტატისტიკა არის საჭიროო. ბ. ვეშაპელი აქ უკუღმა ატარიალებს ტეტიების შეხედულებას, რომელნიც აგრარულ საკითხის გადაწყვეტას ასე უყურებენ, რომ მიწას დაგვირიგებენო. მაგრამ ბ. ვეშაპელმა უნდა იცოდეს, რომ მიწის დარიგება არ შეადგენს აგრარულ საკითხის გადაჭრას. აგრარული საკითხი ეგრე არ გადაადგილდა, და სტატისტიკა არის საჭირო. ბატონი ვეშაპელი ბრძანებს, ასე მოწყობილი სტატისტიკური მუშაობა ვერ გამოიღებს ნაყოფს, და დადებითი შედეგებს ვერ მოგვცემსო. ბ. ვეშაპელს რომ ეჩვენებინა გზა—თუ როგორ მოვქცეულიყავით, მაშინ ჩვენ ვიტყოდით, რომ ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეშაპელი სცდილობს ჩვენთან ერთად აგრარული საკითხის გადაჭრას. მაგრამ ის ესე არ იქცევა.

ჩვენ ვგვრნია, რომ უკეთესი იქნება, რასაკვირველია, მუდმივი სტატისტიკური დაწესებულება, და სტატისტიკური განყოფილება. მაგრამ, ამის მოწყობისათვის ჯერ საჭიროა ისეთი მუშაობის გაწევა, რომელსაც სამინისტრო ეწევა. ამ მხრივ, რომ შევხედოთ საკითხს, მე მგონია აქ სადავო არაფერი არ უნდა იყოს. ასე რომ, ჩვენი ფრაქცია ჰფიქრობს,—შეიძლება ჰქონდეს ამ კანონ-პროექტს რამე ნაკლი, შეიძლება უკეთესი იყოს, რომ დღესვე მოხერხდებოდეს მუდმივი სტატისტიკური ორგანოს დაარსება, მაგრამ, თანამ ეს არ მომხდარა, ამ მუშაობის გაწევა საჭიროა, და ყოველ შემთხვევაში ეს ნიადგის მოამზადებს იმ მუდმივ დაწესებულებისთვის, რომლის მოწყობას ჩვენ შევდგეგში ვფიქრობთ.

ეხლა კი ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვა, როგორც აგრარულ კომისიის წევრმა, იმ გაუგებარობის შესახებ, რომლის შესახებ ბრძანა ვეშაპელმა. მან ბრძანა, რომ აგრარულ კომისიიმ ის საკითხი არ ყოფილა. მე მგონია, რომ სავალდებულო არ იყო ბ. ვეშაპელისთვის, მუდამ დასწრებოდა აგრარულ კომისიას ხდომებს. მაგრამ, სანამ ამ დებულებას წამოაყენებდა შეიძლო, და უნდ[illegible], რომ აგრარულ კომისიამ იქონნა ამის შესახებ ცნობა, და გაგიგ[illegible]ია, რომ ეს კანონ პროექტი მისალებია (ვეშაპელი: ეს შეცდომაა), ეს შეცდომა, რასაკვირველია, უნებლიეთ იყო. მე არ ვამბობ განძრახ ჩაიდინნა ეს შეცდ[illegible]ომა, მაგრამ ბ. ვეშაპელს აქვს ერთი სურვილი: გაუტეხოს სახელი ჩვენ[illegible] აგრარულ პროგრამას და აგრარულ პოლიტიკას და არ ერიდება არაფერს. არც კ[illegible]ულობს რას ლაპარაკობს აგრარული კომისია და რას ფიქრობს აგრარული კომისია და ამიტომ, მე მგონია, რომ ამისი მოსაზრება არ არის სრულებით დასაბუთებული. ჰო, და შეუძლებელია, რომ მისი მოსაზრება მივიღოთ.

თავმჯდომარე. პარლამენტის წევრი მიხეილ მაჩაბელი.

მ. მაჩაბელი. (დ. ნ. დ.) ბატონებო, აქ არის ორი საკითხი. რაკი ორი საგანი დასდგა, იმიტომ ორივე საგანზე მოგახსენებთ, ორიოდე სიტყვა. რაც შეეხება კანონ-პროექტს, რომელიც ამბობს, რომ საჭიროა, რომ ეს კერძო სტატისტიკური განყოფილება ჰქონდეს სამინისტროს, არსებითი ამის წინააღმდეგ, მე მგონია, არც ვეშაპელი, არც ჩვენი დამოუკიდებელი ერთნულედემოკრატების ფრაქცია, არაფერს არ ამბობს. სწორედ საჭიროა, რომ ეს სტატისტიკური მასალები სამინისტროს ხელში იყოს. მაგრამ, როდესაც სტატისტიკას აგროვებენ, როდესაც სტატისტიკის მასალას შეიმუშავებენ, ხელმძღვანელები აუცილებლათ უნდა ხელმძღვანელობდნენ ამ სტატისტიკის ცნობებით და ზოგჯერ მაინც ჩაიხედონ ხოლმე, თუ რას წარმოადგენს ეს სტატისტიკა. ღღეკანდელი საქმე არ გახლავთ. ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობას წინ, ჯერ კიდევ როცა სიამი იყო სტატისტიკის განყოფილება არსებობდა და მუშაობდა, კარგათ იმუშავა თუ ავათ ეს სხვა არის, ეგ სამინისტროს ეკითხება, მაგრამ ჩემის აზრით, რამდენადაც მე მესმის ეს საქმე აგრარულ საკითხის შესახებ, მიწის საკითხის შესახებ, მასალა საკმაოდ არის მოგროვილი. მაგრამ ამ მასალას არავინ ყურადღებას არ აქცევს. ყველა თავის აკვიატებულ აზრს მისდევს, იმას სჩადიან, რაც წინად შემუშავებული ჰქონდათ და არა იმას რასაც უკარნახებს სტატისტიკა. მე პირადად მოვახსენებთ, არ გამოიყენეს ეს სტატისტიკა, იმიტომ რომ აქ ისეთი მასალა არის ღღეს მოგროვილი, რომელიც სათანადოდ გაეშუქებდა საქმეს და ყოველ გვარ მითქმა მოთქმას ალაგი არ ექნებოდა. სათავეში, რომ ხალხი ხის, მომზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება არ აქვთ, რომ გათავონ ის, რასაც სტატისტიკა ამზადებს. დღეს დაგროვილი არის, ჩემის აზრით, საუკეთესო მასალა, რომელიც კი ამიერ კავკასიაში მოიპოვება. ეს მასალა შეიძლება საკმაო იყოს არამც თუ მარტო საქართველოსთვის არამედ ადრიბეიჯანისთვის და სომხეთისათვისაც. თქვენ შეგიძლიანთ სთქვათ, რომ სტატისტიკა საზოგადოდ ძალიან ცუდად არის დაყენებული საქართველოში, ძალიან ბევრი დეფიკტები არის იმაში, მაგრამ თუ არსებობს რაიმე მასალა სტატისტიკური ამ მხრივ, ეს მასალა დაგროვილი არის მარტო აქ, სხვაგან თქვენ მასალას ვერ იპოვნით. ამასთანავე არის ზოგიერთი ისეთი მასალა, რომელიც უტყუარი საბუთი არის, რომელიც ნამდვილი წყარო არის. ისეთი ცნობები, რომელიც სწორედ მატემატიკურად არიან გამოანგარიშებული. ამას შემოუშავება და დაბოლავება უნდა. მე ვეთანხმები ბ. ვეშაპელს, რომ სათავეში ისეთი ხალხი სდგას, რომ თუ როგორ გამოიყენენს მასალას ეერფეს გეტყვით. 33 წლიანად ამ უწყებაში გახლდით, ეხლანდელ ხელმძღვანელებს ვიცნობ, ბევრნი გახლდნენ იქ, იყვნენ იქ ქართველებიც. რუსეთის მთავრობა გულკეთილად არ გვექცეოდა. საზოგადოდ ქართველ კაცს იქ არ გაიპატიჟებენდნენ. იქ ყოველთვის მიიღებდნენ ხოლმე თავის ხალხს, რუსობას. დღეს, პირდაპირ ვეტყვი, ამ მხრივ არა უკეთესი მთავრობაა, თუ ის პირი სოციალ-დემოკრატი არ არის, უბრალო კაცია, მცოდნე კაცი, ისას ფეხს ვერ მოაკიდინებენ ამ სამინისტროში. რაც უნდა გულ კეთილი და საქმის გამკეთებელი მცოდნე პირი იყოს ეს საკმარისი არ არის. ის ამასთანავე უნდა სოციალისტიც იყოს. მე არაეთარი ცუდი განწყობილება არა მქონია ბ. პეტრე გელეიშვილთან, აგრეთვე ბ ხომერიკო

ნაციონალიზაცია ამ სამინისტროში არა სჩანს; არა სჩანს ამასთან ერთად მცოდნე ხალხი, მაგალითად ავიღოთ ცენტრალურ კომიტეტში, რომელსაც ეძახიან საგარეულო კომიტეტს; ეერავინ იტყვის, რომ იქ ერიოს მცოდნე ხალხი, მთავრობამ რაკი იქ მოაწყო არამცოდნე, მაგრამ ჩვენი საქმის მოყვარული ხალხი, თან და თან ეს ხალხი გულით ამ საქმეს შეუდგნენ, და შეიძლება ფონს გავიდნენ, პატიოსანი მოხელენი და კი მოღვაწენი გახდნენ. არა ქართველები კი, რომელიც არიან უმრავლესათ, უნდა მოვახსენო სრულიად გულკეთილად არ ეკიდებიან ჩვენს საქმეს, და უყურებენ უფრო ექვის თვალით, ან რატომ უნდა მოეკიდონ გულკეთილად, როდესაც ისინი იყრებიან რომ სხვაგან წავიდნენ. რადგანაც იციან რომ დროებით არიან, სანამ ადგილობრივი ელემენტი გაჩნდებია. მე სრულიად ვეთანხმები ვეშაპელს, რომ საერთო ტენდენცია სჩანს. ეს ტენდენცია სჩანს განზრახ კი არა, არამედ ინტერეს რომ, ის პირი რომელიც იქ არიან, ისე დატვირთულნი არიან, ყოველ დღე დიდ შრომას ეწევიან, და თვალ ყურს ვერ ადევნიან რომ გათვალისწინონ საქმე, ერთი მიმართულება, ცხადია, ვინც თქვენია, ვინც თქვენი ამხანაგია იმოვნის ადვილად ალაგს გინდა იცოდეს, გინდა არ იცოდეს საქმე და ვინც თქვენი ამხანაგი არ არის და მცოდნეც რომ იყოს საქმისა, ის ამ სამინისტროში ვერ იპოვნის ალაგს და ეს საქმისთვის ძალიან საგნო არის. ბ. ნინიძე ბრძანებს, თქვენ გულახდილად მიწის საკითხი არ მოგწონთ, კანონი არ მოგწონთ და ამისთვის ხართ წინააღმდეგიო. არავინ არის ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგი, ჯერ ერთი ეს საბუთი საბუთად არ ჩაითვლება, მაგრამ მეორეც ის, როდესაც კაცი ამბობს—ნაციონალიზაცია უნდა მოხდესო, ეს სრულიად არ მოითხოვოს, რომ მიწის საკითხი უსათუოდ არ უნდა შესრულდესო. მაშასადამე, ეს მოსატანი არ იყო. მიწის საკითხი, როგორც აქ სწყდება, თითონ ცხოვრება ადამეტიკებს, რომ ჯერ განხორციელდება. მაგალითად, ნორმა გადაწყვეტილია 7 დესეტინა, არ ვიცი, მე მინდა, გაკეთო რაში მდგომარეობს ეს ნორმა, 7 დესეტინა სახნავი ქონება, თუ ვენახი იქნება არ ვიცი; თუ ეს 7 დესეტინა სახნავი იქნება, გლეხკაცების საკითხისთვის, უნდა მოგახსენოთ, ეგ საშინელება იქნება ადმოსავლეთ საქართველოში. სტატისტიკაში რომ ჩაიხედოთ, სწორედ სტატისტიკა გაქვთ და მასალა ხელში გიკავიათ იქ დაინახავთ, რომ ამის წინააღმდეგ გლეხკაცობა იქნება, და გლეხკაცობის წინააღმდეგობა ისეთი კი არ არის, როგორც თავად აზნაურობის წინააღმდეგობა. და ყოველად შეუძლებელია, რომ ჩვენ გლეხკაცობა გადავიმტვრიოთ, და თუ ეს მოხდა, იცოდეთ, რომ დიდი ანარქია მოხდება. ეეერ ალაგას გლეხკაცობას ბევრად მეტი მიწა უჭირავს დღეს და მაინც ბედნიერები და მდიდრები არ არიან; ვმათ რომ ჩამოვართვათ მიწები, უსათუოდ უბედურ დღეში ჩავაყენებთ. ამიტომ საჭიროა ამ საკითხს ძლიერ ფრთხილად მოეკიდოთ. როდესაც ჩვენ ვაფრთხილებთ, რომ სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით არ არის სახეირო მიწის დეკრეტი და ნაკეტნაკად ეს განხორციელება, რომელიც ეხლა ხდება საქართველოში,—თქვენ გაიძახით: „არ მოგწონთ, რადგან მემამულეებს ესარჩლებთ. ჩვენ ეს ეარჩლებიანთ ამ ეარ მემამულეებს. ჩვენ კი ვზრუნავთ იმერეთის უმიწაწყლო გლეხობისათვის, რომელნიც აქეთ უნდა გადმოსახლდნენ და სწორედ ამიტომ უნდა გიგოთ ეზრი ამ შეკითხვისა, რომელიც შემოიტანეს არარატის წარმომადგენლებმა, გავრცელდება თუ არა ეს მიწის დეკრეტი არა ქართველ ქვეშევრდომებზე; მიპასუხეთ მტკიცე კავშირი აქვს თუ არა ამ შეკითხვას ჩვენი გლეხკაცობის მომავალთან, თუ მართლაც სტატისტიკას თვალყურს ადევნებთ, გეცოდინებათ, რომ მტკიცე კავშირი აქვს ამ შეკითხვას ქართველე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისთვის. აქაური დიდი მემამულეები სწორად იმიტომ ებრძვიან ჩვენ სოციალ-ლისტებს, სოციალისტების მიწის დეკრეტს, რომ ბორჩალოს მაზრაში და ქართლში, სადაც მამული ეკუთვნის ქართველ თავად აზნაურობას, იქ სცხოვრობენ არა ქართველი მოდგმის ხალხი და მაშასადამე ქართველებს, რომ მიწა ჩამოვართვათ, დაალ, დიდ მემამულეებს, რომ მიწა ჩამოვართვათ, ეს მიწა უნდა გადაეცეს იმათ, რომელიც, ჩვენ ხალხს არ ეკუთვნიან, ქართველები არ არიან. მე კი ვგრძებ, ჩვენი მოვალეობა არის, ერთნაირად მოვეკეცეთ, როგორც ქართველებს, ისე არა ქართველებს, როგორც არა ერთხელ მითქვამს, არც ერთი დესეტინა მეტი არ მივცეთ სხვა ერებს. უნდა გავითანასწოროდ ქართველი ხალხი და არა ქართველი. ამიერ საქართველოში მიწა მეტი უჭირავს უცხო გვარტომის ხალხი და ჩვენ უნდა უთუოდ ვაძლიეროთ ამიერ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოში ქართული ელემენტი, რომ ზუზრუნველეყოთ ჩვენი სახელმწიფო, თორმე უცხოელები ფეხს ვერ მოგვაკიდებინებენ, ხან გზებს გაგვიფუჭებენ, ხან აჯანყებას გაგვმართავენ, ხან ხიდს ჩაგვინგრევენ, ამტომ, რომ აქ ადგილ ადგილ აჭრელებულია ხალხი ძველი მთავრობის, ძველი ძველი კანონების წყალობით. ჩვენი პოლიტიკა მიწისა უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა პოლიტიკა კოლონიზაციისა, რომ საქართველოში, ჩვენ მიწა წყალზე ქართული ხალხი გამრავლდეს. მე იმას კი არ ვამბობ, რომ უნდა დაიჩაგროს მოსული ხალხი, მე ვამტკიცებ, რომ მოსულ ხალხს მეტი მიწა-წყალი უჭირავს და ეს ისე არ უნდა იყოს. როცა 1907 წელს მიწის საკითხი სწყდებოდა თავად-აზნაურთა კრებაზე, და როცა, რასაკვირველია, სოციალ-დემოკრატიის ბატონობაზე ლაპარაკი არ იყო, თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა: ტფილისის გუბერნიაში, რაც 1907 წელს ხალხი იყო ნაინგარიშეი ბინადარ ხალხად ჩაითვალოს—რუსები, სომხები და დანარჩენი მოსული ხალხიც ისე მოვაწყოთ, როგორც ქართველი ხალხი, მაშინ ჩვენ ვეძრძოდით რუსების და სხვა ერების ელემენტების გადმოსახლებას ჩვენს ქვეყანაში. თავად-აზნაურობა ცდილობდა ქართველი გლეხკაცობა გაეძლიერებინა და თავისი მამული გლეხკაცობისთვის გადაეცეთ. როგორც ეხლა თვალ-ყურს ვადევნებ, თურმე ნუ იტყვით, თავად-აზნაურობას უფრო მეტი მამული ჩაუბარებია გლეხკაცობისთვის, მართალია, სასყიდლით, ვიდრე დღეს ჩააბარეს. დღეს ლაპარაკობენ უნდა მამულები გლეხკაცობას დაურიგოთო; ვის რა უნდა დაურიგოთ, მამული დარიგებული აქვს გლეხკაცობას; ციდან ხომ არ ჩამოვარდება მიწები, და იმას ხომ არ დაგიარავებთ; მამულები, რომელიც თავად-აზნაურების მფლობელობის ხელში იყო, დღეს ის გლეხკაცობის ხელშია. აღნუსხული არის ისიც რანაირი მამული, რომელ გლეხკაცობას ეკუთვნის; მაშასადამე დასარიგებელი მიწები, ისეთი, რომ ვიღასაც უნდა ვაჩუქოთ. დასარიგებელი, არაფერი არ არის ჩემის აზრით, არამც და არამც მიწის გაყოფა გლეხკაცებშს შეა არ შეიძლება, თუ არ გვნდა, რომ ამ გაყოფით, დიდი აჯან-ზაური არ ასტყდეს. მე მოგახსენებთ ამიერ საქართველოს გლეხებზე, იმიტომ, რომ ამიერ საქართველოს ბლეხებს იმდენი არ აქვთ მიწა, რომ საშუალო რიცხვით 7 დესეტინას აღემატოს. დასასრულს შემდეგს მოგახსენებთ, ეს კანონ პროექტი უნდა მივიღოთ. სტატისტიკა, როგორც აგრარულ კომისიამ ისე სამინისტრომ სახელმძღვანელოდ უნდა მიიღოს. საჭიროა ციფრებში ჩაიხედონ და შესაფერისი დასკვნა გამოიყვანონ და არა ისე, რომ ეს სტატისტიკა, სტატისტიკად რჩება' ფული ფულად იხარჯება, და ამ სტატისტიკას არც ჩვენ გვაწყდენენ და არც საჭიროებენ, როგორც საჭიროება მოითხოვს. მოხელეთა შესახებ, სამინისტრომ ყურადღება უნდა მიაქციოს ნაციონალიზაციას, და ისეთი პირნი, რუსები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათრები, სომხები, ქართველები, რომელნიც სასარგებლო არიან საქმისთვის, ან ერ-
ნდა დარჩნენ, და ისეთი პირნი, რომელნიც არა მოდგენ არიან, ან კიდევ
აიმედონი არ არიან, უნდა ეხლავე იყვნენ დათხოვილნი, და ამასთანავე მო-
ვეულნი უნდა იყვნენ ქართველნი; შეიძლება ესენი ჯერ მცოდნე არ იყვნენ,
საგრამ მათი მომზადება საქმისთვის შესაძლოა და უნდა ამ საქმეში ისე მო-
ქიცეს, როგორც ყველგან იქცევიან და ამზადებენ ადგილობრივ ხალხს ადგი-
ლობრივ საქმის გასაძღოლად.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგს
ბ. გელეიშვილს.

მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგი **პეტრე გელეიშვილი.** ბატონებო,
ძიხელ მაჩაბელმა აქ მხოლოდ ერთი გვარი ახსენა მეფეფიანისა და სთქვა,
რომ ამის წინააღმდეგ არაფერი ითქმისო. მაგრამ, რომ მოეგონებინა სკიბიცკი,
ეგროვი იტყოდა, რომ ისინი ძალიან მცოდნე ხალხია. ესე რომ არ იყოს,
ისინი არ იქნებოდნენ ჩვენთან. ეს, ბატონო მაჩაბელო, უნდა მოგეხსენებინა.

რაც შეეხება იმას, რომ სამინისტროს მეთაურნი უფიცები არიან სტატ-
სტიკაშიო,—ამაზე რა გვეთქმის. მე პირადად არ შემძლიან თავი მოვიწონო
მხოლოდ, ათი წ. მიმუშავია. მიხელმძღვანელია და მიწერია. სხვები ჩფიქრო-
ბენ, რომ რაღაც ვიცი. მე კი ვიცი, რომ დიდი არაფერი სტატისტიკოსი ვარ,
მაგრამ, როდესაც მ. მაჩაბელი ჩვენთან ერთად მსახურებდა, ამ აზრისა არ იყო
ჩემზე. ეხლა ალბად, პარტიული და ფრაქციული ფსიქოლოგია სხვა არის: ეს ბ.
მაჩაბლის თავზე იყოს და მე ამას არ შეეხები.

რაც შეეხება აოსებითად ამ სტატისტიკურ განყოფილებას, მე მოგახსე-
ოვებთ, რომ ერთგვარი შეცდომები დაუშვეს ზოგმა ორატორებმ. მაგალითად,
სოციალისტ ფედერალისტების ფრაქციის წარმომადგენელმა ღლონტმა, სთქვა
რომ არ მოგვქონია ცნობები ჩვენ კომისიაში. მაგრამ ეს შეცდომა არის არა
ჩვენი სამინისტროსი, არამედ ჩვენი სამინისტროს კანცელარიისა.

მ. მაჩაბელი გამოსარძანდა და სთქვა. თქვენი მოხსენებიდან სჩანს, რომ
თქვენ სტატისტიკა არ იცითო, არ იცით იმ სტატისტიკაში ჩახედვა, რომ-
ლიც გაქთო. მ. მაჩაბელი, რომ ასეთი რიხით, ასეთი კანდიერებით ლაპარა-
კობს, უნდა მიიღოს თავის თავზე შრომა და ჩაიხედოს იმაში, რაც ჩვენ მიერ
წარმოდგენილი არის. ჩვენ ეს აქ წარმოვადგინეთ ქართულად და რუსულად
დაწერილი.

ჩვენ იმაზე კი არ ვლაპარაკობთ, რაც დღეს ჩვენ გვაქვს. სხვა ორატო-
რებმა, რომ დაუშვან შეცდომები, მე ეს არ გამიკვირდება, მაგრამ ბ. მაჩაბელ-
მა, რომ შეცდომა დაუშვა, მე ეგეი ეკითხები: ალბად იგი განგებ უშვებს შე-
ცდომას. რაში მდგომარეობს ჩვენი სტატისტიკური მოსაზრება? იმაში კი არა,
რომ ერთი რაღაც პანაკეია ყოფილა, იქ კი, საცა ბ. მაჩაბელს უმუშავია, იქ
კი არის სავსე ჭეშმარიტება, ეს ჭეშმარიტება სდღეს და გადმოდის. ჩვენ არა
ვვგონია, რომ ამ ჭეშმარიტებას მაინც და მაინც დიდი ღირებულება ჰქონდეს,
პატივცემული მიხეილ ვახტანგრ, მაგრამ ჩვენ ეფფასებთ ამას, როგორც კომ-
ბასს, ამ ჩვენ მდგომარეობაში, რომელიც ჯას ბ. გაგვიკეფავს.

მაგრამ ესეც არ ყოფილა საკმაო. მაგრამ ჩვენ ამისთვის კი არ ვმუშაობთ,
რომ მე და თქვენ ბ. მაჩაბელო, მომავალს ღირსეული ნაშრომი დაეტოვოთ.

ყოფილმა თვითმართველობამ ესეც ეფფიქრა, ეს უნდა ითქვას. დაგვტოვა არა ერთი
რამ კარგი საქმე. ეს იყო სასოფლო-სამეურნეო აღწერა 1916—17 წ. ინვარი
მნიშვნელობისა არის ეს აღწერა, რომ ჩვენ ჩვენი ხაზინის ამბავი, რომ ვიცით.
მალე ვერ მოვკიდებდით იმას ხელს და სამი მილიონი დაგვჭირდებოდა. ამის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ჩვენ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. 16—17 წ. ამ ორი წლის აღწერა, ისეთ კარგათ ჰქონდათ, ისეთ შეგნებით ჰქონდათ შედგენილი, რომ ჩემი მოხსენებით თავა-ბზნაურობამ გამოიღო 3,000 მან. და რომ მოიცა მე, როგორც ერთ-ერთ სტატისტიკის ხელმძღვანელს, რომ დუბლიკატი გადმომეღო იმ მასალიდან, რომელიც აქედან უნდა გაეგზავნა პეტროგრადში.

1917 წ. იმავე რუსეთის მთავრობამ ხელახლად აღწერა მოახდინა ამიერ-კავკასიაში. აქ სთქვეს, რომ ეს მასალა უფრო საყურადღებო და კარგიო; იმიტომ, რომ მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც უფრო შეგნებულ გლეხკაცობამ, უფრო შეგნებულ ხალხმა, კარგად გამოსთქვა პასუხი დასმულ კითხვებზეი. ეს ისეთი ტყუილია, როგორც ის, რომ ეხლი კალოზე სიმინდია დაზვავებული.

აქ ჩვენ გვიკიჟინეს, რომ ამ სტატისტიკაში არ ჩაგვიხდია და არ გამოგვაყენებია. ჩვენ თუ არ ჩავიხედეთ, მაჩაბელი ჩაიხედავდა, და გვეტყოდა თუ რა არის, იქ თუ წწყება ვერ ისარგებლებდა, მაინც სხვა ფრაქციების წარმომადგენლები ისარგებლებდნენ. თუ ბოქერიკი და გელეფშვილი ისე ჯიგაცები არიან, რომ არ ჩაიხედეს ამ სტატისტიკაში მაშინ სხვები ისარგებლებენ. მაგრამ მე მაკვირვებს, რატომ არ ბრძანა ბ. მაჩაბელმა, ეგრეთ წოდებულ землеустроительныя партиებზე, რომლის დაწყებულებაში ბოლომდისინ მუშაობდა ბ. მაჩაბელი. ამ ბელეუსტროიტელნა პარტიების აქვთ ტფილისის გუბერნიაში 500 სოფელი ჩინებულათ შესწავლილი. თუ არ ვცდები, მაჩაბელი მუშაობდა ახალგაზდობიდან ამ ჯიღარა ომამდინ. ის მართლაც წარმოადგენს ძვირფასს მასალას. დიდი ხანია იქ მუშაობს, და 500 სოფელი შეესწავლა, და ეს იქნებო და მთელი ქვეყნის ტერიტორია. მაშასადამე, გვექნებოდა არა მარტო 500 სოფელი შესწავლილი,—არამედ მთელი ქვეყნის ტერიტორია. არ ვიცი საიდან გამოიყვანა ბ. მაჩაბელმა, რომ ხომერიკი და გელეფშვილი არ სარგებლობდნენ სტატისტიკურ ცნობებით. მე მგონია ბატონ მაჩაბელს წინდაწინ აკვიატებული აზრი აქვს. ამ შემთხვევაში მე მგონია, რომ სცდება ბ. მაჩაბელი. ჩვენ უ ვე გავათავეთ იმ მასალის შესწავლა, რომელთა შედგენაში ბ. მაჩაბელი მონ წილეობას იღებდა. გავათავეთ ეს მასალა, რომლის პლანები იყო იმ პარტიებში, რომლებსაც, უშუალოდ. მაგრამ, ამის გარდა საქართველოში არის კიდევ სხვა ტერიტორია, და ამ ტერიტორიის საჭირო არის სხვა შედარებითი სტატისტიკა, შედარებითი მეთოდი. მუშაობა არ შეიძლება, თუ მასალა არ შედადარეთ, ამისთვის ინსტრუქტორები მუშაობენ; ამაზე ფინანსთა სამინისტო

მუშაობს, ამაზე ჩვენც ვმუშაობთ. მაგრამ, ეხლა ჩვენ ვთხოულობთ ამ ფულს და სამუშაო ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის მასალის დასაგროვებლად, და მერმე, ამ მუშაობის დეტალური შესადარებლათ იმასთან, რაც უკვე აქვს სამინისტროს. ეს არის ფაქტიური მხარე.

მაგრამ, აქ კიდევ ვეშაპელმა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, სთქვა: „თქვენ, რომ აღწერა მოახდინოთ, ამისთვის არც ფული გვაქვს, და არც იმდენი დრო, ამისთვის 10 მილიონიც არ გვეყოფათო“. ჩვენი თხოვნა პარლამენტის წინაშე ის არის, რომ მოგვცეს საშუალება, დავიმუშაოთ 17 წლის აღწერის მასალების და შევადაროთ იმ მასალებს, რომელიც ჩვენ გვაქვს შემუშავებული. ეს არსებითად.

რაც შეეხება ერთ იმ გარემოებას, რომ აქ ბ. ღლონტმა გამოსთქვა ფრაქციის აზრი და, მე მგონია, რომ თითქმის ყველა ორატორი არის იმის მსურველი, რომ ცენტრალური ბიუროო, ცენტრალური სტატისტიკური ბიურო, იყოს დაარსებული,—ეს ჩვენ სამინისტრომ უკვე შეიტანა და მთავრობამ კიდეე მი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მასალები, რომელიც ექნება ხელში სამინისტროს, რომელიც დასრულებას ნახევარ მილიონს, ასეთი ცნობებს სრულიად არ გვაძლევს.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ სახაზინო პალატის ცნობები როგორ მუშავდება: თითეული მეურნე აძლევს ცნობებს, თუ რამდენი მიწა აქვს. არავითარი ორგანიზაცია თვალყურს არ ადევნებს, თუ როგორ მუშავდება სასოფლო ალწერები. როგორც მოგეხსენებათ სოფელში იგზავნებიან ამბაჯნელები,—რომელთაც ევალებათ ალნიშნონ ამა თუ იმ სოფელში რამდენი მიწა არის. ეს ცნობები არის ზეპირი და ნაკლებადაა სინამდვილესთან დაახლოებულები.

თავმჯდომარე. ეს საერთო კითხვის შეეხება, გთხოვთ პირველ მუხლს შეეხთ. (ალ. ლომთათიძე: „ეგ საკახს არ შეეხება“).

ალ. ახალთიანი. ბ. ლომთათიძე, თუ ეს არ შეეხება საგანს, მაშინ, მე მგონია, თქვენ რაც ილაპარაკეთ სულ არ შეეხებოდა პირველ მუხლს.

ეს მასალა ისეთე მუშავდება და არ იქნება გამოსადეგი აგრარულ რეფორმისთვის, მაშასადამე ამისთვის ნახევარ მილიონს ვერ გადავდებთ.(ლომთათიძე, აგგილიდან: „ეს არსებითად არის, პირველ მუხლს არ შეეხება.) დიახ, პირველ მუხლზე ეს არის ლაპარაკი. აქ ნათქვამია, რომ ამდენი თანხა იყოს გადადებული. (ლომთათიძე, აგგილიდან: „თანხაზე ილაპარაკეთ.)მე ვამტკიცებ, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ხაზინიდან ასეთი დიდი თანხა გადავდოთ. იმ საქმეზე, რომელიც არავითარ ნაყოფს არ გამოიღებს ამ აგრარულ რეფორმის პრაქტიკულად განხორციელების დროს, ვერავითარ დახმარებას ვერ გაგიწევენ მუშაობის დროს. ეს მუშაობა მაშინ უნდა გაგვეწია, როდესაც ვწერდით აგრარულ რეფორმების პროექტებს, მაშინ უნდა გექონოდა ერთვერი ზოგადი წარმოდგენა მაინც ჩვენი მიწის მფლობელობის შესახებ. მაშინ, რომ გექონოდა ეს მასალები და გადაგვემზადა ფუფუთი სარგებლობას ეოგვეცმდა, მაშინ არ ჩავიდენდით იმ შეცდომებს, რომელიც ჩვენმა მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ჩაიდინა. ჩვენ დიდი ხანი მივიღებდით კონკრეტიულ კანონ-პროექტს აგრარულ რეფორმის განხორციელების შესახებ. სამწუხაროთ ეხლა მხოლოდ პირველ კანონ-პროექტს ვღებულობთ და ისეთ კანონ-პროექტს, რომელიც ამ ჟამად ამ რეფორმის პრაქტიკულად განხორციელებას ვერაფერთან ვერ შეეწყობის ხელს და, თუ ეს მუშაობა დასრულდება, მოგვცემს მხოლოდ ზოგად ცნობას, ზოგად ცდურებს საქართველოს მიწის მფლობელობის შესახებ. ამისთვის ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციი ჰფიქრობს, რომ დღევანდელი ჩვენი ხაზინის მდგომარეობა არ არის ისეთი, რომ ასეთი დიდი თანხების გაღება შეეძლოს ამ საქმისთვის. მომავალში, როდესაც ხაზინის მდგომარეობა გაუმჯობესდება, ასეთი მუშაობა და მრავალგვარი სხვა სტატისტიკური მუშაობა, რომელიც შეეხება ჩვენ ეკონომიურ მდგომარეობას, რასაკვირველია, შესრულებული იქნება...

თავმჯდომარე. ვის უსურს სიტყვა? არავის. გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

დ. ონიაშვილი. (კითხულობს) გადაიდოს სახელმწიფო ხაზინიდან მიწად მოქმედების მინისტრის განკარგულებაში სამას ოთხმოცდა ოერთმეტი ათასი ექვსასი (391,600) მანეთი აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ სტატისტიკის მოსაწყობად თანხიმად ამ კანონთან დართული ხარჯთა აღრიცხვისა.

თავმჯდომარე. მე კენჭს ვყრი პირველ მუხლს. ვინ არის მომხრე, გთხოვთ ასწიოთ ხელი. მუხლი მიღებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე სამ საათზე მიტია. გნებავთ თუ არა, რომ კრება განვიგრძოთ? (ხმები: „გადავდოთ“).

აქ არის წინადადება, რომ დავნიშნოთ ამ კრების გარეშე, რომელიც იქნება პარასკევს საგანგებო კრება. ვის სურს ამ წინადადების შესახებ სიტყვა?

ალ. ლომთათიძე. ბატონებო, ჩვენი ფრაქციის სახელით წინადადება შემომავალს — ვნიადან ბლომად მოგროვდა საკითხები და საკითხები ისეთი არის, რომ, რაც შეიძლება მალე უნდა გადაისინჯოს. ჩვენელებრივი სხდომა ვერ გვყოფნის ამ საკითხების განსახილველად. ამიტომ წინადადება შემოგაკეთა საგანგებო კრება დაენიშნოთ ხუთშაბათ დილისთვის. მაგრამ, რადგან ჩვენელებრივ 12 საათზე ვერ ვ-ფუ-ბთ სხდომას და სამზე გვიან ვათავებთ.

მე წინადადებას ვაძლევ, რომ დღეს რეგლამენტს არ ავიკიდეთ. და რადგან ჩვენ გადაკვეთილი ჩვენ, რომ სხდომა 3 საათზე უნდა დამთავრდეს და ამ ჟამად 3 საათი არის. წინადადება გავლაკეთ, რომ ეს შუალი დარჩეს ძალაში და დღეს კრება შევწყვეტოთ.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა ამ წინადადების შესახებ? არავის. მე კენჭს ვაყრი ვინ არის წინააღმდეგი? წინადადება მიღებულია.

თუმცა ვიდა გადაცილებულია, მაგრამ რეგლამენტის ძალით მე სიტყვა უნდა მივცე ბ. ვეშაპელს, რადგანაც ის თხოულობს სიტყვას ბირადი საკითხისთვის.

ბ. ვეშაპელი. (დამ. ერ.-დემ.) ამ ფორმით მინდა ამის მოხსენება, რადგან სიტყვა რომ ამიერ უფრო ბევრი იქნებოდა სალაპარაკო აგრარულ კომისიის თავმჯდომარის განცხადების შესახებ და ამის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება აქვს ეი ამ კანონ-პროექტს საერთო აგრარულ კომისიის შეხედულებასთან.

აქ ვანაცხადეს, რომ ამაზე ყოფილა მსჯელობა და ალბად ვეშაპელს არ სცოდნია რაში იყო საქმე, თორემ არ იტყოდა.

მართალია, მე კომისიის წევრი არა ვარ, მაგრამ ამ კრებაზე კი ვიყ-ლდი. როდესაც ეს საკანონე იყო მსჯელობა. მართალია, სტენოგრაფიული ოქ-�ები არ არის, მაგრამ შემიძლია მაინც დაახლოვებით გადმოგცეთ თვით აგ-რარულ კომისიის დასკვნა. იქ ერთხმად სთქვეს აგრარულ კომისიის წევრებმა, რომ ფასთოუდ არა ნორმალური გარემოება არის, რომ კანონ-პროექტი დიდ ფინანსიურ თანხას მოითხოვს ისეთი საკითხისთვის, როგორიც არის სტატისტიკა და რომელიც ტარდება აგრარულ კომისიის გარეშე.

მაგრამ, როგორც სოციალ-ფედერალისტების ფრაქციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბელი არ შეუშალოთ მიწათ-მოქმედების სამინისტროს ეს შეცდომა ძალაუნებურად უნდა მავიღოთ, რადგანაც იგი გატარდა ფინანსიურ კომისიაში. მე მგონია, ბ. ნინიძე ამას მოიგონებს. ეს პირველი.

მეორე შეიტანა ბ. დოლუხანოვის განცხადებას.

მან გაიკვირვა, რომ უცბოდ გვარების შორის, მე მოვიხსენე სომხების გვარები. რასაკვირველია, მე ამის თქმით არ მინდოდა ამის დამტკიცება, რომ ქართული ნაციონალისტს შეუძლებელად მიაჩნია, რომ არა ქართველი ვინმე დაკერძოდ სომეხი იყოს საქართველოს სამსახურში. ეს მე ვამსენე ეს გარემოება არა იმიტომ, რომ საერთოდ მგონია მხედველობაში, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროში არც ერთი სომეხი არ უნდა იყოს, არამედ მე ეს გარემოება ძალაპარაკებდი, რომ ჩვენ კარგად ვიცოდეთ, რომ ეს „ნაციონალ ოფიციალ“ სომხებმა ეროვნულ ბოლშევიკ-ებმა, ანა იმიტომ, რომ გისმენ არ უნდოდეს არა ქართველის მოვალეობა სამსახურში, ანა-მედ იმიტომ, რომ თვით აქ მცსოერებია სომხებმა უნდა გვაცნობოთ ვინ რჩება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში, ვინ გაბედავს, სთქვას, რომ თავისი ბედი დაუკავშირა საქართველოს. ეს საკითხი ჯერჯერობით გამორკვეული არ არის.

ჩვენ ვიცით ის კრება, რომელიც მოახდინა სომხების დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ჯამალიანმა აქაურ ორგანიზაციების თანადასწრებით. ეს კრება, სადაც პირდაპირ იყო კამათი, ისჯელობა იმის შესახებ, თუ სომხებმა en teute niasse მიიღონ ქვეშევრდომობა თუ წავიდნენ. როდესაც ისეთი გარემოებაა მე როდესაც უცხოელების სიაში, გარდა რუსებისა შოვინისტინიე სომხებიც, რომლებიც არ არიან ჩვენი ქვეშევრდომნი იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული ქვეშევრდომობა. და მე მეშინიან, თუ ეს პოლიტიკა გაიმარჯვებს, შეიძლება იმ სომხებში, რომელნიც არიან, მიწათ-მოქმედების სამინისტროში თუმცა პატარა პროპორციით, ვაი თუ არც ერთი არ გამოდგეს ქართველი ქვეშევრდომი.

თავმჯდომარე. კრებას ვხურავ.

კრება იხურება სამ საათსა და ათ წუთზე.